ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

შაბათი–კვირა

22 — 23 ოქტომბერი, 2011 №251 (5631) ფასი: 30 თეთრი

## სიტყვა „რევოლუციის“ გაგონება არ მინდა

გვ.2





## ზვიად ძიძიგური: ხელისუფლების ნაწილი ოპოზიციაში გადასასვლელად მზად არის

გვ.6

სააკაშვილი ივანიშვილს საქართველოდან ვეღარ განდევნის





გვ.5

## ნიკა რურუა: კეზერაშვილი პრემიერი არ გახდება



გვ.5

## გოკა გაბაშვილი: ივანიშვილს ბევრი პროექტი დაუფინანსებია, უკეთესი იქნებოდა, ეს საქმე გაეგრძელებინა



გვ.6

## პოლიტიკოსები საჭადრაკო დაფაზე — საპარლამენტო ოპოზიცია პაიკის როლის გარეშე

## გიორგი ჩიტაური: დეკაზე სიმღერა იმან უნდა იმღეროს, ვისაც დეკას ჩაი ერთხელ მაინც აქვს დალეული

პოპულარული სიმღერის გარშემო დაპირისპირება გრძელდება

გვ.7



ISSN 1987-9385

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# სიტყვა „რევოლუციის“ გაგონება არ მინდა

## ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილთან

**ჟურნალისტმა ია ანთაძემ ჩაწერა ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილთან. გთავაზობთ ამ ინტერვიუს**

***— ბატონო ბიძინა, საზოგადოება ხედავს, რა ნაბიჯებს დგამს ხელისუფლება თქვენ წინააღმდეგ და იმ ხალხის წინააღმდეგაც, რომლებიც თქვენთან არიან დაკავშირებულნი. რას ელოდებით კიდევ?***

— მე ვფიქრობ, ძირითადი უკვე გააკეთეს — ნათელია, რა მეთოდებსაც გამოიყენებენ. დაიჭირეს ჩემი უახლოესი მრჩევლის და თანამშეწის — ირაკლი ღარიბაშვილის — სიმამრი, ავტომატი ჩაუდეს, როგორც ამათ ჩვევიათ. ასეთივე ხელწერით დაიჭირეს ჩემი შვილის მეგობარი, პოპულარული დიჯეი, ნარკოტიკი ჩაუდეს. „ქართუ ბანკის“ საინკასაციო მანქანა დააპატიმრეს. ღამის თერთმეტის ნახევარზე ჩემს დაცვას იარაღის ჩაბარება მოსთხოვეს. შეიძლება პროკურატურა შევიდეს და დახუროს „ქართუ ბანკი“; შეიძლება, საქველმოქმედო ფონდიც დახურონ — ქველმოქმედება ქრთამად ჩამითვალონ. ჩემი შვილის ერთ მეგობარს და მის მეუღლეს მანქანები დასდევენ. შეიძლება, ჩემი ნათესავი და ახლობელი დააპატიმრონ ბანკიდან.

დღენახევარში მათ თავისი სახის ლუსტრაცია მოახდინეს იმით, რაც გააკეთეს.

***— პირადად თქვენი შესაძლო დეპორტის შესახებ რომ განაცხადეს, ამაზე რას იტყვით?***

— ამ ხელისუფლებაში მენეჯმენტი საერთოდ არ იციან. სტრუქტურები არსებობს, ხელფასებს არიგებენ, მაგრამ გადაწყვეტილებას სამი კაცი იღებს კაბინეტში. სამ კაცს უნდა, რომ ქვეყანა მართოს. ქვეყანა კი არა, პატარა საწარმო არ შეიძლება, რომ ასე იმართებოდეს. მათ რომ გადანაწილებული ჰქონდეთ ფუნქციები სამინისტროებზე, ასეთ უმეცრებას არ ჩაიდენდნენ. ისიც კი ვერ გათვალეს, რომ თუ ჩემ შემთხვევაში რაღაც მოსადავებელი კიდევ იყო, ჩემი მეუღლის მოქალაქეობასთან დაკავშირებით შეკითხვაც არ შეიძლება დაისვას.

ერთმა დეპუტატმა ქალბატონმა ახსენა 90 დღე და დეპორტაცია. ისიც კი არ იცის, რომ ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებს ერთი წელი აქვთ უვიზოდ ყოფნის უფლება. მათი უბედურება ის არის, რომ მაგ გუნდში ჭკვიანი კაცი არ ჩანს, რომ სწორად გააანალიზოს ვითარება. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, თქვან — ეს კაცი საშიშია სახელმწიფოსთვისო — და ჩემი დეპორტაცია გადაწყვიტონ. მაგრამ ეს არაფერს შეცვლის. ამით მხოლოდ მდგომარეობას გაიუარესებენ.

მათ უნდათ, მთელ ქვეყანას შავი ფარდა გადააფარონ; შუქი სადაც აღწევს და ვინც რაღაცას ხედავს, ისინი დააშინონ; მეორე ნაწილი კი სიცრუის მანქანით მოატყუონ. მათგან ყველაფერია მოსალოდნელი და არც იმას გამოვრიცხავ, რომ მესროლონ, ამას ვაცნობიერებ და ფრთხილად ვარ.

ძალიან არ მომწონს მათი არასწორი ნაბიჯები და ყველანაირად ვცდილობ, რომ აქ კადაფიზაცია არ დაიწყოს. ჩემი მთავარი მიზანია, რომ ესენი როგორმე შევაჩეროთ, როგორმე კანონიერების ფარგლებში დავაბრუნოთ. ამიტომ, ყველაფერს ვაკეთებ, რომ შიდა ტემპერატურა დავწიო, რათა არ მოხდეს დაპირისპირება. ძალიან მეშინია, ქუჩის აქციები არ დაიწყოს, რაც ამათ აწყობთ. არ უნდა ვითამაშოთ მათი თამაშში. როგორმე არჩევნებამდე უნდა მივიდეთ.

***— ბიზნესმენი იღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც საუკეთესოდ მიაჩნია და პირადი კეთილდღეობით რისკავს. პოლიტიკოსი იძულებულია, გადაწყვეტილებები სხვებთან შეათანხმოს და მის რისკებზე ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობაა დამოკიდებული. თუ***



ბიძინა ივანიშვილი

***ხელისუფალი იმას აკეთებს, რაც მას სურს, ესე იგი, ქვეყანაში ავტორიტარიზმია. ბიზნესიდან წამოღებული რა გამოცდილება გამოგადგებათ პოლიტიკაში და რამდენად ხართ მზად კომპრომისებისა და შეთანხმებებისთვის?***

— სინამდვილეში, ძალიან ბევრია საერთო, განსხვავება კი — ცოტა. ჩემს კომპანიებში, სადაც 100 000 კაცი მუშაობდა, ყოველთვის 10-12 კაცთან ერთად ვიღებდი გადაწყვეტილებას. ვინც ვერ ახერხებდა ჩემს კრიტიკას, იმას ახლოს არ ვიკარებდი. არ შეიძლება, კაცმა წარმატებას მიაღწიო, თუ შენ კარნახობ ყველას, რა უნდა გააკეთოს — როგორც ჩვენი მთავრობა იქცევა.

ვინც წარმატებას მიაღწია — და მე არ ვიქნები გამონაკლისი — ის ყოველთვის მაქსიმალურ ოპონირებას მოითხოვს, რათა შეცდომა არ დაუშვას. თუ გინდა, წარმატებას მიაღწიო, აუცილებლად უნდა დაეყრდნო ლიბერალიზმსა და დემოკრატიას.

ბიზნესმენი, რომელიც ვერ ახერხებს დემოკრატიულ მართვას, ვერ ახერხებს ოპონენტების მოსმენას და ისეთი გუნდის შექმნას, რომელშიც გადაწყვეტილების მიღებამდე თავისუფლად გამოითქმება სხვადასხვა აზრი, ჩემი აზრით, სერიოზულ წარმატებას ვერ მიაღწევს. ამის შედეგი იყო, რომ როდესაც დეფოლტი მოხდა და ბანკი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, არც ერთი თანამშრომელი ადგილიდან არ დაძრულა, თვეობით მუშაობდნენ უხელფასოდ.

ახლა პოლიტიკოსი და ბიზნესმენი შევადაროთ. დემოკრატია რა არის? ხალხმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ბიზნესმენი ვერ მიაღწევს წარმატებას, თუ ლიბერალი არ არის და ერთპიროვნულად მართავს. მეორე მხრივ, პოლიტიკოსიც პირადი წარმატებისთვის იღვწის, თუმცა, ცდილობს, სხვაგვარად წარმოაჩინდეს. მაგრამ, სინამდვილეში, ეს ასეა.

წარმატებისკენ სწრაფვაში პოლიტიკოსი ბიზნესმენისგან არ განსხვავდება, პირიქით, ხშირად უფრო მეტადაც აგრესიულია. ბიზნესმენი თანდათან იზრდება და თვითონ ქმნის თავის სამოქმედო არეალს, პოლიტიკოსი კი მოდის გამზადებულზე და საზოგადოებისგან უკვე შექმნილის მოხმარებას იწყებს. ნიჭიერ პოლიტიკოსს შეუძლია — და ამის მაგალითი ბევრია — რომ სახელმწიფოც განავითაროს და სკამიც შეინარჩუნოს. უნიჭო და ნაკლებად ნიჭიერი, რომელიც ორივეს ერთად ვერ ახერხებს, რა თქმა უნდა, პირველ ადგილზე სკამს აყენებს და ყველაფერზე მიდის მის შესანარჩუნებლად. გაიხსნია, რა დონეზე მისცემს ამის უფლებას საზოგადოება. სინამდვილეში, სხვაობა ბიზნესმენსა და პოლიტიკოსს შორის არც თუ ისე დიდია მართვის კუთხით.

***— ამბობენ, მიხეილ სააკაშვილმა შექმნა ქმედუნარიანი, ენერგიული მთავრობა. ამ პროცესს საქართველოს მოსახლეობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმედით შეჰყურებდა. შემდეგ ხელისუფლება სულ უფრო არაპოპულარული და მიუღებელი გახდა. თქვენი აზრით, რა იყო ის მთავარი მიზეზი, რამაც ხელისუფლებისადმი ნდობა უნდობლობად გადააქცია?***

— ქმედუნარიანი მთავრობა?! ვერ დაგეთანხმებით. რამდენიმე პროექტი მართლაც განხორციელდა. პოლიციაში მოხდა რეფორმა და ის სირცხვილიც მოვიშორეთ, როდესაც უმაღლესში ქრთამით ეწყობოდნენ. მე არ მინდა, რომ ის კარგი დავკარგო, რაც გაკეთდა. მაგრამ განათლების სისტემაში უამრავი შეცდომა დაუშვეს, რაზეც ახლა არ შევჩერდები. საუბედუროდ, პოლიციამაც ის ეფექტურობა მთლიანად დაკარგა, რაც თავიდან ჰქონდა — პრაქტიკულად, სათავისოდ და ხალხის დასაშინებელ მანქანად იყენებენ.

ამიტომაც, ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ ქმედუნარიანი მთავრობა შეიქმნა. თანამდებობის პირთა მუდმივი გადაადგილებები საბავშვო თამაშებს ჰგავს. მართლაც ქმედუნარიანი მთავრობა ცოტა სხვანაირ შედეგებს მიიღებდა. ქმედითი შექმნეს ფულის შეგროვების მექანიზმი ბიუჯეტში, რაშიც მეც მივეხმარე და რასაც შევარდნაძის მთავრობა ვერ ახერხებდა.

სახელმწიფოს ფუნქციაა, რომ უნდა მოკრიბოს გადასახადი. საგადასახადო სამსახურში და საბაჟოზე ფულის დიდი ნაწილი ადგილზე რჩებოდა და ნაწილდებოდა, იმის მაგივრად, რომ ბიუჯეტში წასულიყო. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო თავის ფუნქციას ვერ ასრულებდა. პირველ ეტაპზე ეს იყო ეფექტური, როცა ბიუჯეტს თავისი სახე მიეცა. რაღაც ინვერსტიციები შემოვიდა, მშენებლობები დაიყო, მაგრამ დიდი და სერიოზული ინვესტიცია აქ არ განხორციელებულა.

ფულის შეგროვება რომ მოახერხეს, ეს ნამდვილად უნდა ჩავუთვალოთ, მაგრამ რაც ამ ბოლო დროს ხდება, წარმოუდგენელია. ჩემთვის სრულიად მიუღებელია, რაც ფინანსთა სამინისტროში ხდება. ან რას ჰგავს სახელმწიფო ბიუჯეტი?! ფინანსთა სამინისტრო და ბიუჯეტი საკუთარ ჯიბედ გადაიქციეს. ატარებენ კონცერტებს, უაზრო ღონისძიებებს, ეს ნონსენსია. ასეთი რამ ვერ მოხდება, მაგალითად, საფრანგეთში, რომელიც საკმაოდ წარმატებული სახელმწიფოა.

***— მაინც, რა იყო მიზეზი, რომ ნდობა უნდობლობით შეიცვალა? ყველამ თავისი გზა გაიარა ნდობიდან უნდობლობამდე. თავიდან ხომ იყო ნდობა?***

— დიახ, ნდობა იყო და მეც ეიფორიაში ვიყავი. ცალ-ცალკე ვიტყვი, რა იყო უნდობლობის გაჩენის მიზეზი ჩემთვის, და რა იყო, ჩემი აზრით, იმავეს მიზეზი ხალხისთვის. ნდობამ ჩაქრობა დაიწყო მაშინ, როცა ამათ თავისი რეალური სახის ჩვენება დაიწყეს; როცა რაღაც გაუგებარი მიზეზების გამო სახლებს ანგრევდნენ, როდესაც დამსახურებულ ადამიანებს აბუჩად იგდებდნენ და ასე შემდეგ.

დიახ, ეიფორია ნამდვილად იყო, რომ მოვიდა დემოკრატიული მთავრობა. მეც ამ განწყობით ვიყავი. თუნდაც, იგივე მეცხრე არხი, რომელიც დემოკრატიის მხარდამჭერ სათადარიგო არხად მქონდა. მთელმა პერსონალმა იცოდა, რომ თუ რამე მოხდებოდა, ჩვენ გამოვიჩენდით წინა პლანზე თავისუფალი სიტყვის დასაცავად. როცა ეს მთავრობა მოვიდა, ვერ ვიკადრე, რომ ამ ტელევიზიას ფუნქციონირება გაეგრძელებინა. ვფიქრობდი, რომ, ასრულდა ჩვენი ოცნება და არ მინდოდა, ჩასაფრებულის როლში აღმოვჩენილიყავი. ხელისუფლებას ვაჩუქე ტელევიზია, რომლის ნაწილი „რუსთავი 2“-ს მისცეს, ნაწილი, მე მგონი, პირველ არხს გადაულოცეს.

გახსოვთ, ხალხს ქუჩაში გამოსვლა არ აპატიეს... ამას მოჰყვა უკანონო ნგრევა, ქონების წართმევა, კიდევ სხვა და სხვა... ხალხმა ჩემზე ადრე დაიწყო სინამდვილის გაცნობიერება.

მათ ნელ-ნელა გამოაჩინეს საკუთარი სახე. დღეს ხომ არ დაბადებულან? ყოველთვის ასეთები იყვნენ. მე, ჩემდა სამწუხაროდ, გვიან გავაცნობიერე, ვინ არიან ესენი. ამის მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ მთლიანად ვიყავი ჩართული ჩემს საქმეში, მქონდა ჩემი დღის რეჟიმი, დაკავებული ვიყავი ოჯახით, არ ვხვდებოდი პოლიტიკოსებს. საერთოდ, პოლიტიკა ჩემი თემა არ იყო. ჩემთვის ინფორმაცია ან თავად სააკაშვილს მოჰქონდა, ან მერაბიშვილს, რომელსაც ხანდახან მიშა გამოგზავნიდა ხოლმე, როცა ჩამოსვლა არ შემეძლო. მთავრობაშიც თითქმის არავის ვიცნობდი.

არადა, თავიდან ყველანაირად გვერდში ვედექი — რჩევით, ფინანსებით. ვეუბნებოდი, ოღონდ თქვენ კორუფცია მოსპეთ და წესრიგი დაამყარეთ, რაც საჭიროა, ყველაფრით დაგეხმარებით-მეთქი. საზოგადოებას რომ ეგონა, მთავრობას სოროსი აფინანსებდა, სინამდვილეში, იმ თანხას, ძირითადად, მე ვიხდიდი.

დრო რომ გადიოდა, რაღაცეები მესმოდა და არ მომწონდა, მაგრამ 7 ნოემბერს უკვე ძალიან დავიძაბე და მიშას დავურეკე. მითხრა, მე მოგცემ ყველა მასალას, მერაბიშვილი ჩამოვა და ჩამოგიტანსო. ამასობაში „იმედის“ ამბები დატრიალდა. ძალიან გაცეცხლებულმა დავურეკე, ჭორვილაში ვიყავი. კატეგორიულად მოვთხოვე: „შეაჩერე!“ მეუბნებოდა: შენ არ იცი, რა ხდება... საშინელება ხდება... სახელმწიფო გადატრიალება ხდება... მერე აგიხსნიო.

მეორე დღეს ჩამოვედი და ვკითხე, აბა, რა მოხდა-მეთქი. რა თქმა უნდა, არაფერი ჰქონდათ რეალური, რითიც დამარწმუნებდნენ.

სულ მეუბნებოდა, შენთან ურთიერთობა ჩემთვის ძალიან ძვირფასიაო. მე ვუთხარი, რომ ჩვენს ურთიერთობაზე აღარ იყო საუბარი — „სასწრაფოდ გადადექი და საზოგადოებამ შეაფასოს შენი საქციელი. პირდაპირ გეუბნები, რომ ჩემთვის მიუღებელი პრეზიდენტი ხარ“.

მეორე დღეს დამირეკა და მითხრა, გადავდგებიო. მერე გავიგე, რომ ამაში უცხოეთიც ყოფილა ჩარეული.

გამიხარდა, რომ გადადგა. მაგრამ ამით რაღაც პასუხისმგებლობაც ვიგრძენი. რადგან რჩევით დახმარებას მთხოვდა, მეც, ნაწილობრივ, ჩავერთე პროცესში. ტელევიზორის ყურება დავიწყე და ამასობაში მივხვდი, რომ არ ყოფილა საქმე ისე, მე რომ მეგონა. თურმე, თბილისელები დასანახად ვეღარ იტანდნენ.

არჩევნებამდე ორი კვირით ადრე დავინახე, რომ ამან საზოგადოების ისე განაწყენება მოახერხა, — ხმებს ვერ აგროვებს. ვუთხარი — ისე ჩანს, არჩევნებს ვერ მოიგებ-მეთქი. თავიდან იხტიბარს არ იტეხდა, მაგრამ არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე გამომიტყდა, მძიმედ არის საქმეო. უკვე მივხვდი, რაც ხდებოდა, მაგრამ დაწყებულის გაწყვეტა და პროცესიდან გამოსვლა ვერ ვიკადრე, მაგრამ კონტაქტი შევამცირე. ძალიან შემრცხვა ჩემი თავისა ამ ყველაფრის შემდეგ. განვიცადე, რომ სწორი პოზიცია ვერ დავიჭირე დროულად. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ინაუგურაციის დღეს დავურეკე და ვუთხარი, რომ ერთმანეთს ვემშვიდობებოდით. ამ წუთში ძალიან შეცდა და მითხრა – რა მოხდა? მე კი ვუპასუხე, რას ნიშნავს, გტოვებ – ინაუგურაციის დღე გაქვს, არჩევნებს ხომ არ იწყებ-მეთქი. ასე დამთავრდა ეს ამბავი.

***— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ ნდობა იმის გამო ხომ არ დაკარგა, რომ 2004 წლიდან მოყოლებული, მიხეილ სააკაშვილს ერთპიროვნული ძალაუფლება ჰქონდა? პარლამენტში ნაციონალურ მოძრაობას მუდმივად გაჰყავდა საკონსტიტუციო უმრავლესობა, ხოლო ყველა ადგილობრივ არჩევით ორგანოში — უმრავლესობა; რაც სახელისუფლო პარტიას საშუალებას აძლევდა, არავისთვის გაეწია ანგარიში და თვითნებური გადაწყვეტილებები მიეღო.***

— გეთანხმებით. როდესაც მე ვამბობ, რომ აბსოლუტური უმრავლესობით მოვალ, ვგულისხმობ საკონსტიტუციო უმრავლესობას — ?-ს პლუს ერთი. ჩემთვის იდეალურია პარლამენტი, სადაც სამი პარტიაა და არც ერთს მათგანს არ აქვს 50%. ორპარტიული პარლამენტი არ მიმაჩნია საუკეთესო ვარიანტად. ოთხიც შეიძლება იყოს, ხუთიც და მეტიც, მაგრამ ვფიქრობ, რომ პარლამენტში ყველაზე ეფექტური იქნება სამი პარტია.

როცა პარტია სულ რამდენიმე ადამიანით არის წარმოდგენილი პარლამენტში და გუნდი არ ჰყავს, ხედვებს ვერ აყალიბებს და პროცესებზე გავლენას ვერ ახდენს. ამ ეტაპზე საკონსტიტუციო უმრავლესობის აუცილებლობას იმიტომ ვხედავ, რომ, უფრო პატარა გუნდით არსებით სისტემურ ცვლილებებს ვერ განვახორციელებთ, ვინაიდან ჩვენი და ნაციონალების ხედვები ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისგან. არადა, პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, აუცილებელია, რომ კონსტიტუცია გავმართოთ.

***— როგორი იქნებოდა კარგი კონსტიტუცია თქვენთვის? რა პრეტენზია გაქვთ ამ კონსტიტუციასთან?***

— ამათ ხელწერას ვხედავ — როცა უნდათ და როგორც უნდათ, ერთ ღამეში ისე გადაწერენ და მოირგებენ კონსტიტუციას, რომ ხელისუფლებაში დარჩნენ და მიაღწიონ სინგაპურიზაციას, თუ რაღაც ასეთს... მაგათ რომ ჰკითხო, სულ ეგენი უნდა იყვნენ და იყვნენ. კარგი ის კონსტიტუცია კი არ იქნება, რომელსაც მე დავწერ, არამედ, ის, რომელზეც საზოგადოება შეთანხმდება. ასევე, უნდა შედგეს — რასაც მიშასაც ვთავაზობდი — ქვეყნის განვითარების სტრატეგიული გეგმა: რა უნდა გაკეთდეს დასავლეთში, აღმოსავლეთში, მთაში, ბარში... ეს გეგმა უნდა შეადგინონ პროფესიანალებმა და ის მისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოების ყველა წევრისთვის. მე კი მაქვს ჩემი წარმოდგენა, მაგრამ მარტო არაფერს გადავწყვეტ, საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, როგორი წესით სურს ცხოვრება.

***— მიხეილ სააკაშვილი საკონსტიტუციო უმრავლესობის აუცილებლობას ხსნიდა იმით, რომ ქვეყანაში სწრაფ და ეფექტიან რეფორმებს მხოლოდ ერთიანი, შეკრული გუნდი გაატარებდა. პრეზიდენტის გადაწყვეტილებები არც მთავრობაში ფერხდება და არც პარლამენტში, მაგრამ ამ რეალობამ შეიწირა დემოკრატია. ხომ არ ჯობდა, რეფორმები უფრო ნელა, დებატებისა და დისკუსიების ფონზე წარმართულიყო, რაც, მართალია, ხელისუფლების წარმომადგენლებს ნერვების წყვეტის ფასად დაუჯდებოდათ, მაგრამ ასეთ რეჟიმში მუშაობა მოსახლეობას ბევრი თვითნებური გადაწყვეტილებისგან დაიცავდა? ის არგუმენტი, რაც თქვენ ბრძანეთ, ზუსტად ემთხვევა სააკაშვილის არგუმენტს.***

— რეფორმების ექსპორტიორი ქვეყანა ვართო, რომ აცხადებდნენ, რეალურად, ორი რეფორმა გაატარეს და ორივე დიდი ხარვეზებით, რაზეც ზემოთაც გესაუბრეთ. ამის გარდა, მათ არც ერთი რეფორმა არ განუხორციელებიათ.

მართვის გამოცდილება არ გააჩნიათ, არც იციან და არც შეიძენენ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაბაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოჩიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სიტყვა „რევოლუციის“ გაგონება არ მინდა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ვერასდროს. რაც მოხდა, ამათ სიჩქარის გამო კი არ მოუვიდათ, არამედ — უცოდინრობით. ვერ დავწამებ, რომ არ უნდოდათ. ბევრი მეუბნებოდა, ესენი ქვეყნის დასანგრევად არიან მოსულებიო. მე ამას ვერ ვიზიარებ. ბევრ რამეს მათი უმეცრებითა და თავისებურებით ვხსნი.

ახლა თქვენ მეუბნებით, რომ რასაც ისინი ამბობდნენ, თქვენც იმავეს ამბობთ და რატომ უნდა დაგიჯეროთო. რამდენიც უნდა ვირტყა გულში ხელი, რა თქმა უნდა, თეორიულად ამის საფრთხე არსებობს. თუმცა, იმისთვის, რომ მენდოთ, წარსულში უნდა გავიხედოთ, ჩემი გავლილი გზა უნდა გაითვალისწინოთ — რას მივაღწიე და რა დამოკიდებულება მაქვს ჩემი ქვეყნის მიმართ.

შეიძლება, მსოფლიოში ვერ ნახოთ მაგალითი, როცა კაცს პოლიტიკა კატეგორიულად არ უნდოდა და მაინც პოლიტიკაში მოვიდა. როცა ვამბობ, რომ ევროპელები შეიძლება გავაკვირვო დემოკრატიით, ვგულისხმობ იმას, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და ბევრი რამის გაკეთება შედარებით იოლად შეიძლება. თუმცა, მე მეოცნებე ვარ, მაგრამ პრაგმატიზმიც მყოფნის და კონსერვატიზმიც. პოლიტიკაში რადგან მოვედი, ესე იგი, მაქვს განცდა, რომ შემიძლია, ეს მოვახერხო.

***— და მაინც უნდა ჩაგეძიოთ. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიას ცუდად დაებედა ე.წ. „აბსოლუტური უმრავლესობის“ სინდრომი. შეუძლებელია, დავივიწყოთ, რომ პარტიები ხელისუფლებაში მოდიოდნენ დიდი უმრავლესობით და დიდი ნდობით, მაგრამ მიდიოდნენ პოლიტიკური კატაკლიზმებით. მათ ადგილს იკავებდა ახალი უმრავლესობა — იმავე პერსპექტივით. თქვენ საქართველოს მოსახლეობას ჰპირდებით, რომ აბსოლუტური უმრავლესობით მოხვალთ და ორ-სამ წელიწადში არსებით რეფორმებს გაატარებთ. თავად ეს უმრავლესობა ხომ არ აღმოჩნდება საფრთხე, ერთი მხრივ, თქვენთვის და, მეორე მხრივ, მოსახლეობისთვის? უკეთესი ხომ არ იქნება, რომ მოჯადოებული წრე გაირღვეს და ძალთა ბალანსზე დამყარებული პარლამენტი ჩამოყალიბდეს? თუნდაც, შეიქმნას კანონი, რომელიც გამარჯვებულ პარტიას მანდატების რაოდენობის ზედა ზღვარს განუსაზღვრავს და კოალიციის შექმნას აიძულებს?***

— ძალიან კარგი კითხვაა. ზუსტად ამას ვაპირებ, როცა კონსტიტუციურ ცვლილებებზე ვსაუბრობ. ჩვენ ისეთი კონსტიტუცია უნდა შევქმნათ, რომ გამოვრიცხოთ რისკები. მაგრამ ამ ეტაპზე, ჩემთვის იდეალური ბალანსით — ერთი მესამედით — რომ მოვიდეთ — ქვეყანაში არაფერი შეიცვლება. მე კი ძირეულ ცვლილებებს ვგეგმავ და ამის შემდეგ ხელისუფლებიდან წავალ. აქამდე ეს არ მითქვამს: ვაპირებ, გადავიდე ჩვენ მიერ შექმნილი მთავრობის ოპოზიციაში. როცა ჩემს პირველ წერილში ვთქვი, რომ ორი-სამი წლის შემდეგ წავალ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი მთავრობის პირველი ოპონენტი მე ვიქნები და ყველანაირად გავაძლიერებ ოპოზიციას, რათა სათანადო კონტროლი გავუწიო ხელისუფლებას. ამის პრეცედენტი მინდა, რომ შევქმნა.

***— ახლა თქვენ ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთეთ, რომელიც გულზე ჩამოკიდებული ლოდივით გექნებათ: გინდათ, მოხვიდეთ უმრავლესობით, რათა შექმნათ კონსტიტუცია და ქვეყნის მართვის მოდელი, რომელიც ერთპარტიულ მართვას და ავტორიტარიზმს გამორიცხავს.***

— დიახ, კონსტიტუცია ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ ავტორიტარიზმისგან მხოლოდ კონსტიტუცია ვერ დაგვიცავს. საზოგადოებაც მზად უნდა იყოს. სწორედ საზოგადოების გაძლიერებას ვაპირებ, ეს არის ჩემი უმთავრესი მიზანი.

***— ბევრი კრიტიკა ისმის დღევანდელი მთავრობის პერსონალური შემადგენლობის მიმართ. აპირებთ თუ არა, საპარლამენტო არჩევნებამდე გამოაცხადოთ ჩრდილოვანი კაბინეტის შემადგენლობა, რათა საზოგადოებას ჰქონდეს შედარების საშუალება?***

— ჩრდილოვან კაბინეტზე ჯერ არ მიფიქრია, მზა პასუხი არ მაქვს. ნელნელა შემექმნება ხედვა, ვის რა შეუძლია და ვინ სად აჯობებს, რომ დადგეს. ზოგს არ მოსწონს ალასანია, ზოგს რესპუბლიკელები, ზოგს სხვა და ზოგს — სხვა. მაგრამ, ჩვენი საზოგადოება ეს არის. მთვარიდან ხალხს ვერ მოვიყვან. მეც ბევრს არ მოვწონვარ... უნდა გავიგოთ, რომ არჩევანი ჩვენი საზოგადოებიდან უნდა გავაკეთოთ. მეც აქედან შევარჩევ ოპტიმალურ ვარიანტს.

***— ბევრი დარწმუნებულია, რომ თქვენ არჩევნების მოსაგებად საკმარის ხმებს მოიზიდავთ; ასევე, ბევრი ამბობს, რომ საარჩევნო გარემოს შეცვლის გარეშე არჩევნებში თქვენს მონაწილეობასაც კი ეკარგება აზრი — რადგან ნაციონალური მოძრაობა მაინც იმ შედეგს დადებს, რაც მას სჭირდება. როგორ აპირებთ, აიძულოთ ხელისუფლება, შეცვალოს საარჩევნო გარემო? თუ მიგაჩნიათ, რომ არსებულ პირობებშიც შესაძლებელია არჩევნების მოგება? საკუთარი პოლიტიკური გუნდის ჩამოყალიბებას თუ აპირებთ?***

— გუნდის ჩამოყალიბებას აუცილებლად ვაპირებ. ცხადია, პარტიაც უნდა ჩამოვაყალიბო. მართალია, არსებობს განცდა, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ მჯერა, რომ ეს შესაძლებელი იქნება.

ვფიქრობ, ხელისუფლება ლეგიტიმურ ჩარჩოში მოექცევა. ამის რწმენას არ ვკარგავ. რაც შეეხება საარჩევნო გარემოს: მაგალითად, მზად ვარ პირადად დავაფინანსო ბიომეტრიული პასპორტები, რაკი მთავრობამ განაცხადა, რომ ამის ფული არ აქვს. თუმცა, მიმაჩნია, რომ არჩევნებს არსებულ პირობებშიც მოვიგებთ, სულ რომ არაფერი შეიცვალოს.

ეს კანონმდებლობა მაშინა არის საშიში, თუკი ჩვენი და მათი შედეგი ახლოს იქნება ერთმანეთთან. ნაციონალები რეალურად მიიღებენ ათიდან ოც პროცენტამდე ხმებს. იმისათვის, რომ ამერიკამ და ევროპამ შედეგები ლეგიტიმურად ცნოს, მაქსიმუმ, ამ პროცენტის გაორმაგება შეუძლიათ და მეტი — არა. მე უკიდურეს ვარიანტს გეუბნებით, ამის მეტს ვერ შეძლებენ.

***— 2003 წელს მიხეილ სააკაშვილმა თავისუფლების მოედანზე შეკრებილ ხალხს მიმართა, თუ შევარდნაძე ხალხის ნების წინააღმდეგ წავა, ის მიიღებს რევოლუციასო. თქვენ განაცხადეთ, რომ სააკაშვილს არ უნდა მივცეთ ქვეყნის მართვის გაგრძელების უფლება საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ. თუ იგი მაინც ვერ შეელევა ძალაუფლებას, ამ შემთხვევაში, თქვენს ლექსიკონში ხომ არ გაჩნდება სიტყვა „რევოლუცია“?***

— ძალიან არ მინდა, რომ ეს სიტყვა გამოვიყენო. თუ ამ სიტყვის გამოყენება მომიხდა, ჩავთვლი, რომ ჩემი მოსვლა პოლიტიკაში მცდარი იყო. მაგრამ, მე მგონია, რომ დროულად და სწორად მოვედი და ხელისუფლების შეცვლას ყოველგვარი რევოლუციის გარეშე მოვახერხებთ. თუ სააკაშვილი არჩევნების გაყალბებას სხვადასხვა მექანიზმით მოახერხებს, შევძლებთ მისი არალეგიტიმურობის დამტკიცებას. ის ხელისუფლებაში გაყალბებული არჩევნებით ვერ მოვა. სიტყვა „რევოლუციის“ გაგონება არ მინდა და არც სიტყვა „ქუჩის“ ხსენება მინდა. ხელისუფლების არჩევნებით შეცვლის პირველი პრეცედენტი უნდა შევქმნათ. ეს ერთ-ერთი დიდი წარმატება იქნება.

***— ბევრ ადამიანს გაუკვირდა თქვენი მხრიდან თანამშრომლობის შეთავაზება ვანო მერაბიშვილისადმი, რომელიც ხელისუფლებას საკუთარ ხერხემლად მიაჩნია. მერაბიშვილი — ან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი სხვა პირები — როგორ შეიძლება სასარგებლო და მისაღები აღმოჩნდნენ იმ საზოგადოებისთვის, რომელიც თქვენგან დღევანდელი სისტემის ძირფესვიანად შეცვლას ელოდება?***

— როიტერმა ასეთი შეკითხვაც კი დამისვა, მთავრობაში თუ მოიაზრებთ მერაბიშვილსო. ცხადია, რომ არა. რა თქმა უნდა, ეს არ მქონდა მხედველობაში, როცა მერაბიშვილს მივმართე. დღევანდელი ხელისუფლების საკვანძო ფიგურები ახალ მთავრობაში არავითარ შემთხვევაში არ მოიაზრებიან. მათ დათვური სამსახური გაუწიეს თვითონ სააკაშვილს და დღეს რაც გვჭირს — ამაში მათი დიდი წვლილია. მერაბიშვილისადმი ჩემი მიმართვის არსი იყო ის, რომ თუ სწორად მოიქცევიან და კანონის ფარგლებში დარჩებიან არჩევნებამდე — რისი დიდი სურვილიც მაქვს — მათ მიეცემათ საშუალება, რომ, თუნდაც, პოლიტიკური პარტია შექმნან, თუნდაც, იყვნენ ბიზნესში, ან სხვა რამე მოიფიქრონ. მაგრამ ჩვენს მთავრობაში არ იქნებიან.

***— მალე ახლოს გაიცნობთ ქართულ სასამართლოს და მოგეცემათ შანსი, ამტკიცოთ, რომ იმ ქვეყნის მოქალაქე ბრძანდებით, სადაც შობილხართ, გაზრდილხართ და გისროლიათ ისარი... თქვენ ბრძანეთ, რომ თქვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია დამოუკიდებელი სასამართლო. თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილი იყო სასამართლო რეფორმის ავტორი. თქვენ რას გვთავაზობთ — რომ ვენდოთ თქვენს კეთილ ნებას, თუ რაიმე მექანიზმი გეგულებათ სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტად?***



— არ მაქვს მზა რეცეპტი, მაგრამ მაქვს პრინციპული პოზიცია, რომ სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს. საქართველოში მრავლად არიან კვალიფიციური იურისტები. ზოგ მათგანს უკვე შევხვდი. თავს უფლებას არ მივცემ, რომ გადავწყვიტო, რა მექანიზმებით უნდა განხორციელდეს სასამართლოს დამოუკიდებლობა. მოვკრებ სპეციალისტებს და პოლიტიკური ნების პირობებში სწორედ ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებებს მექანიზმების შესახებ. მე არ მაქვს ამის ცოდნა, მაგრამ ვიცი, როგორ მოვთხოვო მცოდნეებს და როგორ მივიღო საუკეთესო შედეგი.

***— საქართველოში მეტად მტკივნეულია უკანონო პატიმრების თემა. როგორ უნდა გაიმიჯნონ ერთმანეთისგან უკანონო და კანონიერი პატიმრები? არსებულმა სასამართლომ უნდა გადახედოს მათ საქმეებს? თუ ახალი სასამართლოს ფორმირებას უნდა დაელოდონ? ან, იქნებ, რაიმე საგანგებო კომისია უნდა შეიქმნას სწრაფი და სამართლიანი გადაწყვეტილებების მისაღებად?***

— ძალიან რთული კითხვა მომეცით. მზა პასუხი არ მაქვს, ვინაიდან ეს საკითხიც სპეციალისტების გადასაწყვეტია. პროცედურები მათ უნდა შეიმუშაონ. მესმის, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და ამაზე ბევრი მიფიქრია. შევქმნი იმ პირობებს, რომ სპეციალისტებმა შეძლონ სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება. საშინელ დღეში ჩააგდეს საზოგადოება. მაგრამ ისე არ უნდა ვქნათ, რომ შეცდომას შეცდომა დავამატოთ. ვაცნობიერებ, რა საშინელება დამხვდება ამ კუთხითაც. საზოგადოების დიდი ნაწილი გაატარეს პირობითი სასჯელების წნეხში. ეს მოსახლეობის გაღარიბების ერთ-ერთი მიზეზია. ადამიანები სახლებს ყიდიან, რომ ოჯახის წევრი ციხიდან დაიხსნან. წამლის ფული აღარ რჩებათ, ხალხი გაუგონარ სილატაკემდე მიიყვანეს. ყველაფერს ყიდიან და ქუჩაში რჩებიან. არაფერი გააჩნიათ, გარდა ვალებისა.

***— საქართველოს არაერთმა მოქალაქემ თავისი კუთვნილი ქონება, სხვადასხვა სახის ზეწოლის შედეგად, სახელმწიფოს აჩუქა. მათ უნდა ჰქონდეთ თუ არა იმედი, რომ საკუთარ ქონებას დაიბრუნებენ?***

— მყისიერად ვერც ეს მოხდება, მაგრამ როგორ შეიძლება, რომ ამ ხალხს არ დავეხმაროთ?! სამართლიანობა უნდა აღდგეს იმ სასამართლოს მეშვეობით, რომლის ჩამოყალიბებაც ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

***— ხელისუფლება დაჟინებით ცდილობს ახალი ადამიანის, ახალი ქართველის შექმნას. თქვენ როგორი წარმოგიდგენიათ ეს ახალი ადამიანი? რა დამოკიდებულება გაქვთ ამ იდეის მიმართ?***

— ასეთი ტერმინები, როგორიცაა „ახალი ადამიანის შექმნა“ — კომკავშირული გამონათქვამების მსგავსია და ჩემთვის სრულიად მიუღებელია. საზოგადოება უნდა გარდაიქმნას. ამაზე ჩემს პირველ წერილშიც მოგახსენეთ — უახლოეს დროში უნდა შევქმნათ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანების კრიტიკული მასა. საზოგადოება დაშლილია. ამათ მოახერხეს და ის მუხტი, რაც იყო, ბოლომდე გაანადგურეს. მე საზოგადოებრივ ცვლილებებზე მაქვს პრეტენზია, საზოგადოებასთან ერთად დავდგები და ვიქნები, სანამ ცოცხალი ვარ. ახალი ტიპის ადამიანის შექმნა და ახალი ტიპის ადამიანის გამოყვანა ჩემთვის ძალიან უხერხული ტერმინებია. საზოგადოებამ უნდა მოახერხოს გარდაქმნა. ამ პროცესში ქართველებმა ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ და შევცვალოთ.

***— თქვენ გაავლეთ სადემარკაციო ხაზი დღევანდელი ხელისუფლების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის და ყველას მოუწოდეთ, რომ მკაფიოდ განსაზღვროს თავისი ადგილი. სად უტოვებთ სივრცეს დამოუკიდებელ მედიას?***

— ობიექტური მედია, ვისაც უნდა ცვლილებები — არის სადემარკაციო ხაზის აქეთ. მე უფრო ტელევიზიებს ვაკვირდებოდი, რადგან ისინი ქმნიან ძირითად კლიმატს და ამჯერად მხოლოდ მათზე ვისაუბრებ. „იმედი“, „რუსთავი 2“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი ნამდვილად ხაზის იქით არიან. არ გამოვრიცხავ, რომ ცოტა გადაჭარბებული იყო ჩემი რეაქცია „მაესტროსა“ და „კავკასიის“ მიმართ. აქვე მინდა ჩემი პატივისცემა გამოვხატო ბატონ რამაზ საყვარელიძის მიმართ. დამოუკიდებელი მედია ჩემთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც დამოუკიდებელი სასამართლო. თუ არ იქნა დამოუკიდებელი მედია, ვერ იქნება დამოუკიდებელი სასამართლო და პირიქით. დამოუკიდებელი მედია არის დემოკრატიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი, რომელიც უნდა შევქმნათ.

***— მაგრამ სადერმაკაციო ხაზის აქეთ ყოფნა ოპოზიციონერობას ნიშნავს. ოპოზიციონერობა კი არ არის ჟურნალისტის საქმე. კეთილსინდისიერებაა მთავარი.***

— მე ოპოზიციონერობისკენ არავის მოვუწოდებ. ეტყობა, თქვენც ვერ გამიგეთ, ან ჩემს ტექსტში ვერ გამოვხატე კარგად. არ მაქვს პრეტენზია ყველაფრის ცოდნაზე და შეიძლება, ტერმინები სწორად არ გამოვიყენე. მინდა, რომ, პირველ რიგში, ჟურნალისტმა აჩვენოს სინამდვილე ისეთი, როგორიც ის არის და მეორე — ის იყოს ღირებულებების მხარეს. უნდა მოახერხოს, რომ კარგი და ცუდი გაარჩიოს და თუ ორივე ცუდია, გაარჩიოს, რომელია ცუდი და რომელი — უარესი.

***— როგორია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თქვენეული ხედვა? რომელი სფეროები მიგაჩნიათ პრიორიტეტულად?***

— მე კარგად ვიცი თანამედროვე ეკონომიკა. სოფლის მეურნეობა არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში არ არის წამყვანი, არ არის „ორთქმავალი“. უმეტეს ქვეყნებში სოფლის მეურნეობა დოტაციაზეა. მაგრამ ყველა განვითარებული ქვეყანა, მათ შორის, ამერიკა, აუცილებლად ინარჩუნებს სოფლის მეურნეობას.

ჩვენ, ტრადიციულად, აგრარული ქვეყანა ვართ, ამიტომ, სოფლის მეურნეობის განვითარება ჩვენთან ადვილია. თუმცა, მთავარია ის, რაზეც ვისაუბრე ჩემს წერილში და რასაც ოცნების პროექტი დავარქვი: მაღალი ტექნოლოგიების უნივერსიტეტი. ინტელექტი უნდა იყოს ქვეყანაში. რა თქმა უნდა, ინტელექტი შენარჩუნდება საფინანსო ჯგუფებში, საბანკო სექტორში, თუ ეს სფეროები კარგად აწყობილი არ არის, ეკონომიკა არ განვითარდება. საბანკო სისტემასთან დაკავშირებით არსებობს კითხვები, მაგრამ ის სისტემა, ძირითადად, გამართულია.

ტურიზმი, თავისთავად, საინტერესოა. მაგრამ ეს ბიზნესმა უნდა გადაწყვიტოს, სად რა გააკეთოს, კარნახით არ მოხდება. საინტერესო ქვეყანაა, საინტერესო კლიმატური პირობები გვაქვს, ჩამოვლენ, ნახავენ, გადაწყვეტენ.

მთავარი საფუძველი კანონიერებაა, ეს უნდა შეიქმნას. ბიზნესმენს არ უნდა ჰქონდეს განცდა, რომ დაუძახებენ და რაღაცას მოსთხოვენ. მე ვიცი, რა აფრთხობს ბიზნესმენს. აუცილებელია სტაბილური პოლიტიკა. კანონდებლობა უნდა შეიქმნას ისეთი, რომ ჩინოვნიკს არ ჰქონდეს უფლება, კანონის ზევით ბიზნესმენს რაღაც მოსთხოვოს. საქართველო პატარა ქვეყანაა და მაქვს განცდა, რომ ამას მოვახერხებ. ჩინოვნიკი ბიზნესმენს თუ არ ჩამოეხსნა, ილუზიაა, რომ ევროპელები აქ ინვესტიციას ჩადებენ.

ქართველები ზარმაცები რომ ჰგონიათ და ამბობენ, საქმის კეთება არ იციანო, სინამდვილეში, ქართველებს დიდი კულტურა გვაქვს. კულტურა კი იწვევს იმას, რომ თუ სწორად აუხსნი, უცებ იგებენ. ოღონდ, ერთი რამ არ შეგვეშალოს: ზოგიერთ ქართველს რომ მიაჩნია, რომ ჩვენ გვაქვს ის, რაც სხვას არავის აქვს, ასე არ არის. მაგრამ ქართველს აქვს ყველაფერი ის, რაც შეიძლება სხვაგანაც ნახო. სხვაგანაც მშვენიერი ბუნებაა, მაგრამ ამ ერთი ბეწო მიწაზე თუ ყველაფერი გინახავს, სხვაგან აღარაფერი გაგაოცებს.

***— როგორ საგადასახადო მოწყობას უჭერთ მხარს?***

— ძალიან მოკლედ გეტყვით: მთავრობამ იმდენი კვერცხი უნდა გამოართვას ქათამს, რამდენიც მის გამრავლებას არ შეაფერხებს. თუმცა, პენსიონერების რაოდენობაც უნდა გაითვალისწინოს. სახელმწიფო სტრუქტურებსაც შენახვა უნდა. ეს ყველა ქვეყანაში მუდმივად საკამათო თემაა. ამას ვერც საქართველო გადაურჩება. შუალედური პოზიცია უნდა მოვძებნოთ. ქათამი არ უნდა დავკლათ, ანუ ბიზნესი არ უნდა წავაქციოთ. ყველაზე მძიმე იქნება ჩემი მოსვლიდან 6 თვე, მაქსიმუმ, 1 წელი. ეიფორიაში მყოფ ხალხს ეგონება, ფულს დაგვირიგებენ და ყველანი უცებ გავმდიდრდებითო. მაგრამ ასე ვერ მოხდება. სიტუაციის აწონ-დაწონვა მოგვიწევს, როგორც ოჯახში — ამდენი და ამდენი ფული გვაქვს, როგორ მოვიქცეთ? შარვალი ვიყიდოთ? თეატრში წავიდეთ? ახალი სახლის მშენებლობა დავიწყოთ?

მოკლედ რომ ვთქვათ, ისეთი საგადასახადო სისტემა უნდა გვქონდეს, რომ არც პენსიონერები დავხოცოთ შიმშილით და ბიზნესსაც ჰქონდეს განვითარების საშუალება.

***— დღევანდელ ხელისუფლებას სახელმწიფოს იდეალად სინგაპური მიაჩნია. გვიამბეთ ცოტა რამ იმ საქართველოზე, რომელში ცხოვრებასაც თქვენ ჰპირდებით მოსახლეობას; მაგალითად, სახელმწიფო რა დოზით მონაწილეობს ახალგაზრდების განათლებაში? ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაში? მეცნიერების, კულტურისა და სპორტის განვითარებაში?***

— ამ სფეროებში სახელმწიფო იშვიათად და ნაკლებად უნდა ჩაერიოს; მაგრამ უნდა ჩაერიოს იქ, სადაც აუცილებელია. ამის მაგალითი იყო, როცა მიშას ვუთხარი, რომ დავეხმარებოდი სოფლის მეურნეობას. ასევე შეიძლება მოხდეს განათლებაშიც — მასაც დასჭირდეს დახმარება. სტრატეგიულ დარგებში — განათლება იქნება თუ მეცნიერება — განვითარებული სახელმწიფოები ამის კოორდინაციას ახდენენ და ჩვენთანაც ასე მოხდება. რა დოზით ჩაერევა სახელმწიფო, ამაზე პასუხის გაცემა ამჟამად რთულია. კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე მივიღებთ გადაწყვეტილებებს, სპეციალისტებთან ერთად. სოფლის მეურნეობას არ შეიძლებოდა, არ დავხმარებოდით. სხვათა შორის, პირველი ორი წელიწადი მევენახეებს ვეხმარებოდი. მესამე წელიწადს მიშამ მითხრა, აღარ არის საჭიროო.

***— თქვენ მიმართ გამოთქვამენ პრეტენზიას, რომ თქვენი ფონდი აკადემიკოსებს ეხმარებოდა, რომლებიც უკვე ნაკლებად პროდუქტიულები არიან. ფაქტობრივად, ფონდი ადამიანებს ეხმარებოდა სიცოცხლის გადარჩენაში, მაგრამ პროგრესზე არ იყო ორიენტირებული.***

— მომავალს უნდა მივცეთ დაფინანსება პირველ რიგში და ეს უნდა ავუხსნათ საზოგადოებას. მაგრამ,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# სიტყვა „რევოლუციის“ გაგონება არ მინდა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

თქვენ აკადემიკოსები ახსენეთ და – არც დამსახურებული ადამიანები უნდა გავწიროთ შიმშილით სიკვდილისთვის. ვისაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი რამ შეუქმნია და დღეს აღარ შეუძლიათ, მათაც უნდა მივხედოთ, ეს ჩვენი ვალია. რა თქმა უნდა, ჩემი პოზიციაა, რომ ქველმოქმედება არ არის საუკეთესო გამოსავალი. ქვეყნისთვის საუკეთესოა სამუშაო ადგილების შექმნა, რათა ადამიანი თვითონ დასაქმდეს, თავისი ფული იშოვნოს. მეგობრები დავკარგე ამის გამო. თუ ეხმარები, დამოკიდებული ხდება და ვეღარ ინარჩუნებს ობიექტურობას. მძიმეა, როცა თვალებში გიყურებს კაცი იმის გამო, რომ დავალებულია. ისეთი სახელმწიფო უნდა ავაშენოთ, რომ ადამიანებს ეს არ სჭირდებოდეთ. ამ გაჭირვებულ ყოფაში სხვა ვერაფერი შევძელი და იოლი გზა ვნახე. უფრო დიდი დახმარება იქნებოდა ქვეყნისთვის, რომ მე რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილები შემექმნა. ორი პროექტი მოვიფიქრე, რაზეც წერილშიც ვსაუბრობდი. პირველი არ გამომივიდა, რადგან უარი მითხრეს; მეორე პროექტის – მაღალი ტექნოლოგიების უნივერსიტეტის იდეა მოეწონათ, ოღონდ, შენობის ნაწილში. მაშინვე მითხრეს, ცათამბჯენი ააშენეო. ძლივს დავარწმუნეთ „ჩვენი მაღალი“, რომ ეს არ შეიძლებოდა.

***– სამუშაო ადგილებთან დაკავშირებით გამახსენდა – უფრო ადრე უნდა მეკითხა – ტელეკომპანია მეცხრე არხი რატომ დახურეთ?***

– ჩვენ გვეჭირა შუალედური პოზიცია. შეგიძლიათ, ჟურნალისტებს ჰკითხოთ. შევარდნაძის მთავრობის დროს სხვადასხვა ტიპის საფრთხეები იგრძნობოდა. ჩანდა, რომ რაღაც არ მოსწონდათ „რუსთავი 2“-ის, რომელიც კარგად ასრულებდა თავის ფუნქციას. ამიტომ, ჩვენ შუალედური პოზიცია გვეჭირა და სათადარიგო ტელევიზიის როლი გვქონდა. თუ „რუსთავი 2“-ს საფრთხე დაემუქრებოდა, წინა პლანზე გადავიდოდით. ყველაზე დიდი შეცდომა მაშინ დავუშვი, როდესაც, რევოლუციის მერე, ეიფორიაში მყოფმა, ვეღარ ვიკადრე, რომ სათადარიგო ტელევიზია შემენარჩუნებინა, რაც ჩასაფრებულის პოზიციაში ყოფნას ნიშნავდა. ამ ვითარების შექმნაში, დღეს რაც გვაქვს, ჩემი ყველაზე დიდი ბრალეულობა და შეცდომა ტელევიზიის დახურვა იყო.

***– სახელმწიფოში რისი გაყიდვა მიგაჩნიათ შეუძლებლად?***

– არ შეიძლება იმ ობიექტების გაყიდვა, რაც სახელმწიფო უსაფრთხოებას უკავშირდება. მგონი, ასეთი აღარაფერი დატოვეს, თუმცა, გავითვალისწინოთ, რომ, ზოგადად, სახელმწიფო საკუთრების ყველაზე არაეფექტური მმართველია.

***– რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ ორ ქვეყანას, ფაქტობრივად, გაწყვეტილი აქვს დიპლომატიური ურთიერთობა. დღევანდელი ხელისუფლება ჯერჯერობით უშედეგოდ ცდილობს, საერთაშორისო თანამეგობრობის მეშვეობით მოახდინოს რუსეთზე ზემოქმედება. რა არის თქვენი სტრატეგიის შინაარსი? როგორ გესახებათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა?***

– ძალიან რთული კითხვაა. ვაცნობიერებ, რომ დიდი არჩევანი არ გვაქვს. ჩვენ გვქონდა უფრო ფართო არჩევანი გამსახურდიას მთავრობის დროს, მაგრამ შეცდომები დაუშვეს. ამას მოჰყვა ახალი შეცდომები შევარდნაძის მთავრობის დროს, მესამემ კიდევ დაამატა, თავის მხრივ. მანევრის საშუალება სულ უფრო მეტად შეგვიმცირდა.

პატარა ქვეყნების საქმე ასეა: ზოგს ამერიკის გავლენის სფეროში ასახელებენ, ზოგს – რუსეთის... ჩვენ უნდა მოვძებნოთ ჩვენი ადგილი. ამ მხრივ საქართველო რთულ სიტუაციაშია. ჩვენი ამოცანაა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და მაქსიმალური თავისუფლების შენარჩუნება.

რომ გითხრათ, რომ მაქვს კონკრეტული გეგმა – როგორ დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები, თანაც, როგორ მოვახერხოთ ეს უახლოეს დროში – სწორი არ ვიქნები. მე ვიცი ერთი რამ, ისტორია და დღევანდელობა დიალექტიკაში უნდა განვიხილოთ. ეკონომიკურმა კრიზისმა აიძულა დიდი სახელმწიფოები, რომ ურთიერთობისთვის გადაეხედათ. ამერიკის და რუსეთის დამოკიდებულება შეიცვალა ერთმანეთის მიმართ და კიდევ შეიცვლება, ისევე, როგორც ევროპისა და რუსეთის.

ერთი რამ ზუსტად ვიცი: თუ არ გვექნება სამართლებრივი სახელმწიფო და არ გავხდებით საინტერესო აფხაზებისთვის და ოსებისთვის, თუ საზოგადოება არ იქნება ერთიანი და ძლიერი, – შედეგს ვერ მივაღწევთ. შიდა ვითარება დიდ გავლენას ახდენს საგარეო ურთიერთობებზეც. აფხაზები კი არა, ქართველები გარბიან საქართველოდან. აქ გაჩერება არავის უნდა. ამ პირობებში, როგორ მოახერხებ, აფხაზი დაარწმუნო, ჩვენთან მოდი, ჩვენთან ჯობიაო.

მდგომარეობა თუ არ შეიცვალა, თუ არ დაინახეს, რომ აქ მართლაც დემოკრატიაა და კომფორტული გარემოა, თვითონ თუ არ გაუჩნდათ ცდუნება, ძალიან რთული იქნება მათთან საუბარი.



ცალკე თემაა რუსეთი. რუსეთთან დაკავშირებით ერთ-ერთი – და არა ერთადერთი – იმედი ისაა, რომ მასთან ინტერესების თანხვედრა მოხდეს. ჩვენი ტერიტორიის ოკუპაცია, მე მგონი, რუსეთსაც ყელში აქვს გაჩხერილი. თუ რუსეთი გეგმავს ცივილიზებულ სამყაროსთან ურთიერთობის დალაგებას, წინსვლას ამ კუთხით, რა თქმა უნდა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საკითხი ლოდივით ექნება ჩამოკიდებული. თანაც, ამას ძალიან კარგად იყენებენ მისი ოპონენტები და მუდმივად გამოიყენებენ მომავალშიც. გარდა ამისა, ეს თვითონ რუსეთის მდგრადობისთვისაც საშიშია. კავკასია ძალიან რთული რეგიონია და ამ მიმართულებით შესაძლებელია საქართველოს და რუსეთის ინტერესების თანხვედრა.

***– როგორ ფიქრობთ, რას ითხოვს რუსეთი საქართველოსგან, თუ არსებობს რაღაც ისეთი, რისი დათმობაც რუსეთს დააკმაყოფილებდა და საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს არ დააზარალებდა?***

– მართალი მოგახსენოთ, არ ვიცი, რა არის ისეთი, რაც შეგვიძლია, დავთმოთ. დამოუკიდებლობა იყო და ყოველთვის იქნება უმთავრესი. თავისუფლების გარეშე არაფერი გვინდა. ეს არც კი შეიძლება, კითხვის საგანი გახდეს. ეკონომიკიდან რამე სერიოზული, რაც რუსეთს შეიძლება აინტერესებდეს, მგონი, არაფერი დაგვრჩა.

ის, რაც მოხდა, საშინელებაა ჩვენთვის. და არც მათთვის არის მომგებიანი. იმედი მაქვს, ამას ჩემ გარეშეც მიხვდებიან და მეც შევეცდები, დავარწმუნო. ამის იმედი მაქვს ძირითადად. ასეთი სამხრეთ ოსეთი და ასეთი აფხაზეთი რუსეთისთვისაც მძიმე ტვირთია. სხვა რამ დამატებით შეთავაზებებს რუსეთისთვის მე ვერ ვხედავ. თუ რამე გამოჩნდა მომავალში, საზოგადოებას დაველაპარაკები.

***– თუ უშვებთ, რომ ისე წახვიდეთ ხელისუფლებიდან, ტერიტორიული მთლიანობა ვერ აღადგინოთ?***

– რა თქმა უნდა. ამას ვაცნობიერებ. ძალიან დაბალია ალბათობა, რომ ეს ორ-სამ წელიწადში მოხდება, თუმცა, გამორიცხული არ არის.

***– სულ რომ არ დაიძრას პროცესი ადგილიდან?***

– ამას თითქმის გამოვრიცხავ. პროცესის დაძვრას აუცილებლად მოვახერხებთ. მტკიცე განცდა მაქვს, რომ ოდესმე აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ერთიან საქართველოში დაბრუნდებიან. ეს აუცილებლად მოხდება, ისეთ ვადებში რომ მე ნამდვილად მოვესწრები.

***– ამისთვის რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას?***

– პირველი და გადამწყვეტია, რომ ჩვენ უნდა გავხდეთ სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფო, აფხაზებისთვის და ოსებისთვის მიმზიდველი ქვეყანა; მეორე – ეს არის რუსეთთან ინტერესების თანხვედრა; მესამე – ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება და დემოკრატიული ქვეყნების მხრიდან უფრო ძლიერი მხარდაჭერა. ამ სამი კომპონენტის ერთიანობა წარმოადგენს პრობლემის გასაღებს.

***– საგარეო საფრთხეებისგან თავის დაცვის ყველაზე ეფექტურ გზად ხელისუფლებას ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობა ესახება. თქვენ ბრძანეთ, რომ საქართველოს შეუძლია იპოვოს როლი, რომელიც მისაღები იქნება ამერიკისთვის, ევროპისა და რუსეთისთვის. იქნებ, უფრო მეტი გვითხრათ ამ როლის რეალურ კონტურებზე. როგორ ჯდება ამ კონტექსტში ნატო-ში გაწევრიანების თემა? ხომ არ გულისხმობს ეს როლი საქართველოს მხრიდან ნეიტრალიტეტის გამოცხადებას?***

– ნეიტრალიტეტს, მე მგონი, ჩვენ ვერ შევძლებთ. ასეთი სუსტი სახელმწიფოს პირობებში, სუსტი ეკონომიკით, არსებული ვითარებიდან გამომდინარე – რომ ვთქვა, ნეიტრალიტატისთვის ვიბრძოლებ-მეთქი – ამის მოლოდინი ნუ გვექნება. იდეალური, რა თქმა უნდა, ნატო იყო ჩვენთვის და მასთან დაახლოებას კვლავაც ვეცდები.

ნატო საუკეთესო ვარიანტი იქნება ჩვენი უსაფრთხოებისთვის, მაგრამ არ მაქვს ილუზია, რომ ამ მიმართულებით ვითარება სწრაფად შეიცვლება. ის შანსი, რაც გაუშვეს ხელიდან დიდი ხნით, იმედი მაქვს, რომ სამუდამოდ არ დაგვიკარგავს და ამ საკითხს უნდა დავუბრუნდეთ.

რა თქმა უნდა, ამერიკასთან სტრატეგიულ პარტნიორობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ ქვეყანას ძალიან ბევრი აქვს გაკეთებული ჩვენთვის და მადლიერების მეტი არაფერი შეიძლება გამოვხატოთ მის მიმართ. მომავალში უნდა ვცადოთ ამ ურთიერთობის გაღრმავება და ჩვენ უნდა ვიყოთ საინტერესო, პირველ რიგში, მათთვის. ეს ჩვენ შეგვიძლია და უნდა გავაკეთოთ.

და, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია რუსეთის ფაქტორი, რომელიც საქართველოს ყველაზე დიდი მეზობელია. მას ვერავინ შეცვლის და სხვაგან ვერ გადაიტანს.

***– რამდენად თავსებადია ერთმანეთთან ნატო, რუსეთი, ამერიკა, ევროპა...***

– გლობალური პოლიტიკის ჭრილში ნატოს და რუსეთის დაახლოება ჩვენ გარეშე მიმდინარეობს. სერიოზულმა პოლიტიკოსებმა ეს იციან. პროცესი იქით მიდის, რომ მათ ერთმანეთი საფრთხედ არ განიხილონ. მე მაქვს იმედი, რომ გლობალურ პოლიტიკაში მოხდება დაახლოებები და ხისტი პოზიციები შერბილდება. ეს ჩვენც მოგვცემს, საშუალებას, რომ უფრო იოლად ვიყოთ კომფორტული ყველასთვის და ჩვენც ვიპოვოთ ჩვენი უსაფრთხო ადგილი.

***– მიგაჩნიათ, თუ არა, რომ მიხეილ სააკაშვილი იყო და არის კარგი პარტნიორი ამერიკისთვის?***

– რაღაც ეტაპზე, რა თქმა უნდა, ამერიკა საქართველოს განიხილავდა, როგორც საინტერესო პრეცედენტს რეგიონში, სადაც შეიძლებოდა დემოკრატიზაციის პროცესი დაჩქარებულიყო. ვარდების რევოლუციის შემდეგ, ამერიკელებს, ქართველების მგავსად, ჰქონდათ ეიფორია, რომ მოხდა ის, რაც მათ სურდათ. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, სააკაშვილი საინტერესო იყო მათთვის, ისევე, როგორც ბევრი ქართველისთვის. პირდაპირ გავავლებდი პარალელს. როგორც გვიყვარდა რევოლუციის დროს და პირველ ხანებში, ისევე უყვარდათ მაშინ ამერიკელებს. მე მგონი, ის გაწბილება, რაც ქართველებმა განვიცადეთ, განიცადეს ამერიკაშიც.

რა თქმა უნდა, ყველა სახელმწიფო თავისი ინტერესების მიხედვით მოქმედებს. ამერიკას საქართველოზე უარესი დემოკრატიის ქვეყნებთანაც აქვს დაბალანსებული ურთიერთობა. ამერიკელები არ გადადებენ თავს, რომ საქართველოში მოხდეს ის, რაც ჩვენ, ქართველებს, სანატრელი გვაქვს. ამერიკას თავისი ინტერესები აქვს და უნდა მიიღოს ის, რაც სურს. ამავდროულად, ამერიკა გვეხმარებოდა და ჩვენ ვერ გამოვიყენეთ ეს დახმარება.

რითია გამორჩეული მაინცდამაინც სააკაშვილი? ჩვენც მოვახერხებთ, რომ ანგარიში გავუწიოთ და ყველაზე დიდი სახელმწიფოს ინტერესები გავითვალისწინოთ. რას აკეთებს სააკაშვილი ისეთს, რასაც ჩვენ ვერ გავაკეთებთ? ამერიკა ისეთივე მსხვერპლია თავისი პროექტის – სააკაშვილის – როგორც ჩვენ. დღეს მისთვის იმდენადვე საინტერესოა სააკაშვილი, რამდენადაც – ჩვენთვის.

დღეს საქართველოს მიმართ ინტერესი ძალიან დაბალია. ხელისუფლებამ მოახერხა ლობისტური ჯგუფების შექმნა, ამაში უამრავ ფულს ხარჯავს და ლობისტებს ერთი დავალება აქვთ, რომ აქ დაგვაჯერონ; გარეთ ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ჩვენს გასაკეთებლს არავინ გააკეთებს.

მიმაჩნია, რომ რომელიმე ერთი ქვეყნის სატელიტი არ უნდა ვიყოთ; არ უნდა გავაუარესოთ და მხოლოდ უნდა გავაუმჯობესოთ ურთიერთობა ამერიკასთან, კიდევ უფრო გავაღრმავოთ ურთიერთობა ევროპასთან და დავალაგოთ ურთიერთობა რუსეთთან.

ის, რაც ჩვენმა მთავრობამ გააკეთა – არ არის პოლიტიკა და ამას მხოლოდ რუსეთთან ომის გამო არ ვამბობ. ომამდე მათ, ფაქტობრივად, მოახერხეს და ყველანაირი ურთიერთობა გაწყვიტეს რუსეთთან, სააკაშვილის არადიპლომატიური, ემოციური, გაუაზრებელი, შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამო საქართველოსთვის დაიკეტა რუსული ბაზარი, იმ დროს, როცა მთელი მსოფლიო ამ ბაზრისკენ გარბის. და არც ომის შემდეგ გადაუდია ვინმეს ჩვენთვის თავი. ყველა ცდილობს, რომ რუსეთს ზედმეტად არ აწყენინოს. ამათ ეს მოახერხეს. ღვინო ვეღარ გააქვთ რუსეთში და გააქვთ ჩინურ ბაზარზე. ჩინელები კიდევ ღვინოს არ სვამენ.

***– ესე იგი, თქვენ ბალანსს უჭერთ მხარს?***

– დიახ, ჩვენ ყველასთვის საინტერესო უნდა ვიყოთ და ამით ვიპოვნოთ ჩვენთვის საინტერესო ადგილი ცის ქვეშ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამას მოვახერხებთ.

***– ბევრი ადამიანი საუბრობს ბიძინა ივანიშვილის მიერ განხორციელებულ დიდ პროექტებზე და ქველმოქმედებაზე. თუმცა, ჭორ-მართალი ერთმანეთშია არეული და საზოგადოებამ ცოტა რამ თუ იცის მათ კონკრეტულ შინაარსსა და მასშტაბზე. ხომ არ დადგა დრო, რომ საქართველოს მოსახლეობას ამ საკითხზე სრული ინფორმაცია მიაწოდოთ?***

– მსოფლიო ბანკისგან აღიარებული ხუთი აუდიტორული ფირმა არსებობს. მათგან ერთ-ერთი ყოველ წელიწადს აწარმოებს ჩემი საქმიანობის აუდიტს. ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, სრულიად ღიაა – ფულის წარმოშობა, მოძრაობა, სად მიდის და რაში იხარჯება. კიდევ ერთხელ გეუბნებით, ამას მსოფლიო ბანკის მიერ აღიარებული აუდიტორული ჯგუფი ამოწმებს.

***– თქვენ მიმართ სამგვარი დამოკიდებულება შეიმჩნევა: ბევრს გულწრფელად ეიმედებით; ამავე დროს, თქვენ წინააღმდეგ ღვარძლიანი კამპანია მიმდინარეობს და, ამის პარალელურად, თქვენი გაიდეალების ტენდენციაც შეინიშნება. როგორც წესი, ასეთ გარემოში მაამებლური გარემოცვა ლიდერსა და ხალხს შორის თანდათან გადაულახავ დაბრკოლებად იქცევა და მლიქვნელები გაცილებით საშიშები ხდებიან, ვიდრე აშკარა მოწინააღმდეგეები. როგორ ფიქრობთ, რამდენად გემუქრებათ ასეთი საფრთხე დღეს და, მით უმეტეს, სამომავლოდ, თუკი თქვენს დიდ ავტორიტეტს და ფინანსურ რესურსს პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობაც დაემატება? ვინ და რა შეიძლება აღმოჩნდეს თქვენი საპირწონე?***

– ძალიან კარგია, ეს რომ მკითხეთ. ჩემი პიროვნება, ჩემი ცხოვრების წესი უნდა იყოს ჩემი საპირწონე. ჩემი განვლილი ცხოვრების გარდა, სხვა მტკიცებულებები არ გამაჩნია. ჩვენს პოლიტიკოსებს რიტორიკაში ვერ ვაჯობებ. ამბობენ, თუ გინდა, კაცი გაიცნო, მიეცი მას ფული და ძალაუფლებაო. მგონია, რომ ორივე გამოცდა ჩავაბარე. ხელისუფლებაში არც ფულისთვის მოვდივარ და არც ძალაუფლებისთვის. ვინც აგრესიულად მლანძღავს, მგონია, რომ მათი უმრავლესობა მთავრობის მიერ არის დაქირავებული, ვინაიდან, არც ერთი ქართველისთვის ლანძღვის საფუძველი არ მიმიცია ჩემი ცხოვრების წესით.

ჩემს შვილებსაც იმას ვასწავლი, რომ, სულ ცოტა, შენი მეზობელი არ უნდა შეაწუხო შენი ყოფით. მე ასე ვცხოვრობ და საგინებელი რატომ უნდა ვიყო? იმის გამო, რომ ვიღაცეებმა კონკურენტად მიმიჩნიეს, მლანძღველთა მთელი ჯარი დაიქირავეს, ინტერნეტიც და ტელევიზიებიც ამით არის აჭრელებული.

***– მაინც მგონია, რომ გამარჯვების შემთხვევაში, ძალიან ძლიერი ცენტრი გამოგივათ. საინტერესოა, რა დაგაბალანსებთ?***

– მხოლოდ ჩემი ადამიანობა, ჩემ მიერ განვლილი ცხოვრება და ხელწერა. სხვა არგუმენტი არ მაქვს. აბა, ჩემზე უფრო ლამაზად სხვა პოლიტიკოსები ლაპარაკობენ.

***– როგორ მოახერხებთ, თავი დაიცვათ იმ მლიქვნელებისგან, ვინც თქვენსა და საზოგადოებას შორის ჩადგომას შეეცდებიან?***

– მოვახერხებ, მოვახერხებ. ჩემი წარმატების საფუძველი – თუ თქვენც იზიარებთ, რომ წარმატებული ვარ ბიზნესში – ზუსტად ის არის, რომ ძალიან კარგად ვერკვევი ადამიანებში. თუ ადამიანს ცოტა რამ აკლია წარმატებისთვის, ვეხმარები, რომ სწრაფად ჩამოყალიბდეს – ეს კარგად ვიცი. ყველაზე ნაკლებად ამის მეშინია. რადგან ეს იყო ჩემი წარმატების მთავარი მიზეზი – კარგად ვერკვეოდი, კარგად ვაყალიბებდი და კარგად ვეხმარებოდი. რუსეთში პირველი კოლეჯი მე შევქმენი, ლექტორი ვიყავი და უამრავი კადრი გავზარდე. კადრების სამჭედლოს ეძახდნენ „როსიისკი კრედიტს“. მთელი საბანკო სექტორი უზრუნველვყავი, იმდენი ახალგაზრდა გავზარდე. ნადირობა იყო ჩემ მიერ გამოზრდილ კადრებზე.

***– კიდევ ერთ თემაზე მინდა ვისაუბროთ. იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც თქვენ გვერდით შეიძლება აღმოჩნდნენ ხვალ და ზეგ, ეჭვი გამოითქმის ხოლმე, რომ მათი მხარდაჭერა ნაყიდია. ადამიანები ამით თითქოს დაკომპლექსდნენ. ბევრი შეიძლება გულწრფელად გიჭერდეთ მხარს, მაგრამ თავი შეიკავოს დემონსტრირებისგან სწორედ იმის გამო, რომ „ნაყიდის“ იარლიყი არ მიეწებოს.***

– კარგი შეკითხვაა. მაქსიმალურად ვცდილობ, შეცდომები არ დავუშვა. მრჩეველთა საბჭოს შექმნა ჯერ არ დამთავრებულა და ყველა წევრთან დაკავშირებით ძალიან ვფრთხილობ. არ მინდა, საზოგადოებას იმედი გაუცრუვდეს. მგონი, შევძლებ, თუ საუკეთესო არა, ოპტიმალური ჯგუფის შეკრებას.

შეცდომები, რა თქმა უნდა, იქნება. ნუ მომთხოვენ, რომ ყველა იდეალური იყოს. თვითონ ჩემი იდეალიზებაც ჩემივე სერიოზული პრობლემაა. სადაც მაიდეალებდნენ როგორც ყოვლისშემძლეს, ამ ილუზიას სწრაფად ვუქარწყლებდი, რადგან არასდროს არავის ვპირდები იმას, რაც არ გაკეთდება.

რაც შეეხება კადრებს, პირველ რიგში, ვეცდები, რომ უმწიკვლო ადამიანები შემოვიკრიბო. მეორეც – თუ საჭირო გახდა, ცალკეულ პირებთან დაკავშირებით განმარტებებს გავაკეთებ. შემიძლია, რომ წარსული შეცდომებიც ვაპატიო, თუ რომელიმე პიროვნებას თავისი გამოცდილებით საზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანა შეუძლია.

ერთად უნდა დავდგეთ, არავინ უნდა დარჩეს პროცესებისგან გარიყული. საზოგადოებაში ისედაც ცოტა რესურსია, ჩვენ ეს ვართ, რაც ვართ – ეს არის ჩვენი საზოგადოება და ამ რესურსით უნდა წავიდეთ წინ. ცუდიც გვაქვს და კარგიც, წარსულიც გვაქვს, აწმყოც და მომავალიც უნდა გვქონდეს.

***– დღევანდელი საუბრის ფონზე, არ მიგაჩნიათ, რომ თქვენი წერილები კონფრონტაციული იყო?***

– მე ვფიქრობ, რომ პირველი ორი წერილი სწორი იყო. და რაც ვთქვი, ამის თქმა მნიშვნელოვნად და საჩქაროდ მიმაჩნდა. ძალიან მეშინია შუალედური პოზიციის. ვითომ შუაში მდგომი და სინამდვილეში ორპირი ხალხია ჩემთვის ყველაზე დიდი საფრთხე.

შუა უნდა გაიკრიფოს.

იმიტომ, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. ხალხს უნდა მივცეთ მკაფიო არჩევანის საშუალება.

მოგწონს სააკაშვილი? ღმერთმა მოგახმაროს – დაუჭირე მხარი. ოღონდ, ნუ თამაშობ, რომ, თითქოს, არც იქით

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# სიტყვა „რევოლუციის“ გაგონება არ მინდა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ხარ და არც აქეთ. ეს არის ორპირობა. და თუ ორპირობა დარჩა შუაში, ამას ვერ შევეგუები, რადგან თუ შევეგუე, მეც ისევე ჩავიძირები, როგორც ჩემზე გამოცდილი პოლიტიკოსები ჩაიძირნენ.

ყველამ ზუსტად უნდა გაარკვიოს, მე მიჭერს მხარს თუ სააკაშვილს.

ჩემთვის პრინციპულია, რომ მოხდეს პოლარიზება. ისეთი პოლარიზება კი არა, რომ სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყოს – ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან – არამედ ის, რომ ხალხს ჰქონდეს შავის და თეთრის გარჩევის საშუალება.

***– მაგრამ, ხომ არის ხალხი, ვისაც უნდა, რომ არც იქით იყოს და არც აქეთ.***

– ისინი ჩუმად არიან. არ თამაშობენ და არ ცდილობენ, ზემოქმედება მოახდინონ პროცესებზე.

***– ესე იგი, პრობლემა გქონიათ ორპირობასთან და არა იმ ადამიანებთან, ვისაც არც იქით უნდა დგომა და არც აქეთ.***

– დიახ, მათთან პრობლემა არ მაქვს. ასეთები ტელევიზიით არ გამოდიან. ეს კარგი ხალხია.

მე მოთამაშე-მოლაპარაკეებს ვამხელ, საჯაროდ რომ გამოდიან და გვატყუებენ. თორემ, ღმერთმა გაუმარჯოს იმ ადამიანებს, რომლებიც თავისთვის არიან, სულ ეჭვით გიყურებენ, პოპულარობის პიკზეც რომ იყო, მაინც იმას ამბობენ – მხარი რომ დაგიჭირო, კიდევ უნდა გამოგცადო, რას წარმოადგენო!

***– საზოგადოებამ ბევრი არაფერი იცის თქვენი ოჯახის შესახებ, თუმცა, ბერა მეტად პოპულარულია. რამდენი შვილი გყავთ? ვინ არის თქვენი საყვარელი მწერალი? სიმღერა თუ გეხერხებათ? როგორია თქვენი დამოკიდებულება ქართული სუფრის მიმართ? თამადობა თუ გიწევთ? რომელ ღვინოს სცემთ განსაკუთრებულ პატივს? ნარდი, ჭადრაკი თუ გიყვართ? რა ინტერესები აქვთ თქვენს შვილებს?***

წწწ.კალმასობა.ცომ– ევროპულ ასაკში დავქორწინდი – 35 წლის ვიყავი. ვიეშმაკე და 19 წლის გოგონა მოვიყვანე ცოლად. ოთხი შვილი გვყავს. ყველაზე კარგი, რაც შემიქმნია ცხოვრებაში, ჩემი ოჯახია. მაქვს პრეტენზია, რომ თუ კარგი ოჯახი არსებობს, ჩვენი – სწორედ ასეთია. მეუღლე – ეკა ხვედელიძე – ჩემი ყველაზე ახლო მეგობარია. დღეს ჩვენი ჯვრისწერის ოცი წლისთავია და ჩემთვის, ისევე, როგორც ჩემი ოჯახისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი დღეა.

შვილები სწორ ადამიანებად გავზარდე. არც ერთი მათგანი არ იკადრებს, რომ სხვისი უბედურებით იოტისოდენა ბედნიერებას წაეტანოს. შეძლებენ თუ არა, რომ თავისი ნიჭით მხარში ამოუდგნენ ვინმე სხვას – ეს ცალკე საკითხია.

რაც შეეხება საყვარელ მწერლებს, ქართველებს გვერდს ვერ ავუვლი. ვაჟა ბუმბერაზია ჩვენთვის და ჭაბუა გვყავს ცოცხალი. კითხვა ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა და რადგან წიგნების შემრჩევი არ მყავდა, ყველაფერს ვკითხულობდი. დიუმა განსაკუთრებით მიყვარდა. თითქმის ზეპირად ვიცოდი. მისაღებ გამოცდებზე თემა დავწერე და ციტატები მოვიყვანე. ეგონათ, გადავიწერე. დამიბარეს და გამესაუბრნენ. მაღალი ნიშანი არ მიმიღია, ოთხიანი მივიღე იმიტომ, რომ გრამატიკული შეცდომები მქონდა. მზექალა შანიძე იყო კომისიის თავმჯდომარე და რთული თემები მოიტანეს. ჩაწვა ხალხი, ვერ დავწერეთ, „ტეხნარები“ ვიყავით. ბოლოს თავისუფალი თემა შემოაგდეს და დავწერე „ჩემი საყვარელი მწერალი“.

ჩემი მეუღლე ძალიან კარგი მკითხველია. დიდხანს მეხვეწებოდა, ორუელის „ცხოველების ფერმა“ წაუღე მიშასო. ჩემი საყვარელი მწერალია-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ეს წიგნი კი მართლაც გაგახსენებს ჩვენი მთავრობის ამბავს.

რადგან სიმღერაზე მკითხეთ, სიმღერა ჩემი ჰობია. კარგად ვმღეროდი. ჩემი ძმა პროფესიონალია, მამია ხატელიშვილის გუნდში მღეროდა. მამაჩემი და დედაჩემიც კარგად მღეროდნენ. ჩემს შვილებს ოთხივეს აბსოლუტური სმენა აქვს და სხვადასხვა ინსტრუმენტზე უკრავენ.

უტა მყავს 19 წლის, ბერა – 16-ის, 14 წლის მყავს გვანცა და 6 წლის – ცოტნე. უტას კი შეეძლო, მაგრამ მუსიკოსობა არ მოინდომა. უნივერსიტეტში სწავლობს საფრანგეთში. გვანცა ძალიან კარგად ხატავს, უკრავს და მღერის. არ მინდოდა, რომ ჩემი ოჯახის წევრები პოლიტიკაში ჩართულიყვნენ. როგორც მე ვიყავი ნეიტრალური პოლიტიკის მიმართ, ისე იყვნენ ესენიც. მაგრამ ასე მოხდა, რომ გვანცას გარდა ყველანი ჩავერთეთ. პატარა ცოტნემაც კი ჩაიცვა მაისური „ქართული ოცნებით“ და ყოველ საღამოს მახსენებს, მამიკო, შენ რატომ არ გაცვიაო.

სუფრაზეც ვთქვათ. თამადობა მიწევს, როცა სახლში სტუმრები მყავს და როცა ხასიათზე ვარ, მაგალითად, როცა ჩემს მეგობრებთან ვარ, „ქართულ ხმებთან“. მათ უყვართ ჩემი თამადობა. არავის ეწყინოს, მაგრამ, კარგი ტრადიცია ცოტა არ იყოს დავამახინჯეთ: სამი კაცი რომ შეიკრიბება და 60 სადღეგრძელოს ამბობს – არ მგონია ლამაზი. ეს უნდა ხდებოდეს იშვიათად და იმ პეწით, რაც ამშვენებს ქართულ სუფრას. კარგი ლექსი უნდა ითქვას სუფრაზე, კარგი სიმღერა, უნდა შეზარხოშდე კიდეც და არა – გატიალდე. და ეს შეზარხოშება, რაღა დაგიმალოთ, ძალიან მიყვარს. მაგრამ ეს ყოველდღიური ცხოვრების წესად არ უნდა იქცეს.

ქართული ღვინოები მომწონს ძალიან. ღვინოს სახლში ვაყენებ, მამაჩემის დანატოვარ ქვევრებში. ჩემი სიმამრიც მოყვარული იყო ამ საქმის. ამ ათი წლის წინ დიდი ტრაგედია გვქონდა ჩემს მეუღლეს და მე – სამი მშობელი დავმარხეთ ერთ წელიწადში.

დედა მყავს 89 წლის. ერთად ვაგრძელებთ იმ ტრადიციას, რაც მამაჩემს ჰქონდა და მეც ძალიან მიყვარს ეს საქმე. მხოლოდ ჩემი სახლის ღვინოს მოვიხმარ, თუმცა ფრაგული ღვინოების კარგი კოლექცია მაქვს.

დედაჩემმა პოლიტიკაში ჩემი წასვლის ამბავი რომ გაიგო, ტელეფონში მითხრა, შვილო, დაწინაურებას გისურვებო. მეორეჯერ რომ დაველაპარაკე – ჩემი ყოველი დილა იმით იწყება, რომ დედას ვურეკავ და მოვიკითხავ, სადაც არ უნდა ვიყო – ვეკითხები, დედა, დაწინაურებას აღარ მისურვებ-მეთქი? ეცინება და მეუბნება, კარგი, დამანებე თავი, დაივიწყე, რაც გითხარიო.

ნარდი ძალიან მიყვარს და ჭადრაკსაც კარგად ვთამაშობ. ნარდი ჩემთვის დასვენების ერთ-ერთი საშუალებაა. გრძელი ნარდი მიყვარს ძალიან და „ქართულ ხმებთან“ მაგარი ომი გვაქვს. ჩემპიონატებს ვატარებთ ხოლმე.

***– რა ნიშნავს თქვენთვის ჭორვილა? რითი ხართ სოფელში დაკავებული თავისუფალ დროს? ნადირობთ? თევზაობთ? ბოსტანს უვლით?***

– არც ვნადირობ და არც ვთევზაობ. ძალიან მიყვარს ბუნება და ამას ვერაფრით ვიკადრებ. მახსოვს, 19 წლის ვიყავი, როცა მწყერზე ნადირობიდან ვბრუნდებოდი. ნახნავებიდან გვრიტი აფრინდა და ვესროლე. წაფრთხიალდა და დავარდა. მეორე, როგორც ეტყობა, მისი წყვილი იყო. იმდენი იწვალა, ჩავიდა-ამოვიდა იმის ამოსაყვანად, ჩავიდა-ამოვიდა. ისე გამიფუჭდა ხასიათი, დავაგდე ორლულიანი თოფი და მახსოვს, რომ კონდახი შუაში ამოტყდა. იმის შემდეგ თოფი ხელში აღარ ამიღია.

სხვათა შორის, ბეღურები არ მიყვარს. მუდმივად ართმევენ ბუდეს მერცხლებს და ეს ვერ მიპატიებია.

ბუნება ძალიან მიტაცებს. ჩემი ჰობია – სეირნობა და ფიქრი. ჭორვილაა ჩემი სამშობლო. ყველაფერი მიყვარს მისი, სულ მესიზმრებოდა. სამი წელიწადია, გარეთ არ გავსულვარ, ისე მეძნელებოდა მისი დატოვება. უნიკალური ნერგები ჩამოვიტანე. ძალიან მიყვარს ბაღის გაშენება და სულ ჩემი ხელით ვაკეთე პარკი ჯერ ჭორვილაში, მერე ურეკში და თბილისშიც. უამრავი ნერგი მაქვს დარგული...

# გოკა გაბაშვილი: ივანიშვილს ბევრი პროექტი დაუფინანსებია, უკეთესი იქნებოდა, ეს საქმე გაეგრძელებინა

**საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, გოკა გაბაშვილმა, ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ ქართულ და ბევრ ურთიერთწინააღმდეგობის შემცველ მასალად აღიქვა. საუბარია ჟურნალისტ ია ანთაძის მიერ ჩაწერილ ინტერვიუზე.**



გოკა გაბაშვილი

როგორც გაბაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ აღნიშნა, „დარჩა შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილს პოლიტიკური პოზიციები ჯერ არ აქვს ჩამოყალიბებული; ბიზნესმენი ჩამოყალიბებულია მხოლოდ ერთ რამეზე – რუსეთ – საქართველოს ომზე პასუხისმგებელი საქართველო და მის მიერ წლების განმავლობაში დაშვებული შეცდომებია“. ეს კი, გაბაშვილის შეფასებით, არასერიოზული მსჯელობაა და ბევრჯერ თქმულა რიგითი ოპოზიციონერების მიერ.

***– ბატონო გოკა, რაზე დაყრდნობით აკეთებთ დასკვნას, რომ ბიძინა ივანიშვილი პრორუსული პოლიტიკოსია?***

– მისი პოზიციები ერთი ერთზე ემთხვევა რუსეთის პოზიციებს. ივანიშვილი ამბობს, რომ კონფლიქტი სააკაშვილმა გამოიწვია, მისმა გაუზარებელმა პოლიტიკამ და მისმა ვითომდა გამონათქვამებმა. საქართველოს აქვს არჩეული სტრატეგიული ხაზი, რაც დასავლეთთან დაახლოებაა. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, ვინ არის ამ ხაზის მთავარი მოწინააღმდეგე, ახლა ჩემთვის სულ ერთია, ივანიშვილს კუდი გადაბმული აქვს კრემლთან, თუ ეს კუდი კრემლში მოაჭეჭყეს. ის ხდება პრორუსული ძალების ერთ-ერთი გამაერთიანებელი და კოსნოლიდატორი საქრათველოში, რაშიც წარმატება ნამდვილად არ ექნება.

***– თქვენთვის მოულოდნელი იყო „ივანიშვილის პრორუსულობა“ და, საერთოდ, მისი პოლიტიკაში ჩართვა?***

– მთელი ხელისუფლების სახელით ვერ ვილაპარაკებ. ჩემთვის პირადად მოულოდნელი იყო, რადგან მას ვიცნობდი არა პირადად, მაგრამ – მისი დაფინანსებული პროექტებიდან და ბევრი რამ მომწონდა. ახლა კი, გადაწყვიტა, თავისი ფული გამოიყენოს ოლიგარქიული სისტემის შესაქმნელად; სურს, შეისყიდოს პოლიტიკური ძალები, მედია. ასევე, ამბობს, რომ ჯერ უნდა ჩამოაყალიბოს მთავრობა და შემდეგ – ოპოზიცია. როგორც ჩანს, ჰგონია, რომ სამყარო მის გარშემო ტრიალებს. ეს კი ნამდვილად არ არის ასე და მალე გაიგებს ამას.

***– ჟურნალისტ ია ანთაძის ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ ხელისუფლება რამდენად სერიოზულ კონკურენტად აღიქვამს ბიძინა ივანიშვილს?***

– რას ჰქვია კონკურენტად? კონკურენტად და ოპოზიციური ძალების ერთ-ერთ გამაერთიანებლად ის მიიჩნევს თავს. ჯერჯერობით ვერანაირ სიღრმისეულ კომენტარს ვერ გააკეთებ მის პოლიტიკაზე, რადგან ძირითად საკითხებზე ჩამოყალიბებული არ არის; ის მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ რუსეთთან ურთიერთობა ჩვენ გაგვიფუჭებია და ჩვენი ბრალი ყოფილა, რომ რუსეთი აგრესიულია. როდიდან იწყება ეს შეცდომები? ერეკლე მეორის პერიოდიდან, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ნოე ჟორდანიას, გამსახურდიას თუ – სააკაშვილის? ამაზე ეტყობა, მას ჯერ არ უფიქრია. მან ზუსტად ის იცის, რომ რუსეთისგან ვერსად ვერ წავალთ, რომ რუსეთი ახლოს არის, აქვეა და მასთან უნდა გამოვნახოთ ისეთი პოზიცია, როგორშიც რუსეთი თავს კომფორტულად იგრძნობს. არა მგონია, რომ ჩვენ ასეთი პოზიცია უნდა გამოვნახოთ.

***– ბიძინა ივანიშვილი ინტერვიუში ამბობს: როდესაც საზოგადოებას ეგონა, რომ ხელისუფლებას აფინანსებდა სოროსი, რეალურად ხელისუფლება ფინანსდებოდა მისი ფულით . . .***

– სოროსისგან არა, ფონდ „ღია საზოგადოებისგან“, გაერო-ს განვითარების ფონდისგან და ბევრი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციისგან. მათ შორის ნამდვილად იყო ბიძინა ივანიშვილი და მას კიდევ ბევრი სხვა პროექტი დაუფინანსებია. უკეთესი იქნებოდა, ეს საქმე გაეგრძელებინა და არ გამხდარიყო პუტინისტური პოლიტიკური პროექტი.

***– ბიძინა ივანიშვილი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამბობს, რომ ჩვენ მათთვის მიმიზდველი უნდა გავხდეთ. ესეც პრორუსული პოზიციაა?***

– ეს არის იმავე ლეგენდის გამეორება, რომ ეს პრობლემა არის ეთნოკონფლიქტი; რომ ეთნიკური კონფლიქტი გვაქვს, რაც სრული ბოდვაა. დღეს საქართველოში ცხოვრობს მეტი ოსი, ვიდრე – ე.წ. სამხრეთ ოსეთში. აფხაზების უმეტესობა წასულია და განდევნილია საკუთარი მიწებიდან. ეს არის კონფლიქტი და მრავალწლიანი ომი რუსეთ-საქართველოს შორის. მთავარი პრობლემა არის რუსეთი და პუტინი, რომლის მოკავშირეც დღეს საქართველოში არის ივანიშვილი.

***– ბიძინა ივანიშვილის საგადასახადო გარემოზეც საუბრობს და მიაჩნია, რომ საკმაო წნეხია დღეს ბიზნესზე...***

– როცა ადამიანი მიჩვეულია ბიზნესის კეთებას იქ, სადაც კანონიერი ქურდები და ქილერები წყვეტდნენ, ვინ გამდიდრებოდა და ვინ გაღარიბდებოდა. ადამიანი, რომლის „კრიშაც“ „იაპონჩიკა“ იყო და ძირითადი კაპიტალი კვანტრიშვილსგან აქვს მიღებული, საქართველოში ბიზნეს გარემოზე არ უნდა წუწუნებდეს; განსაკუთრებით საქართველოში, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან რეიტინგებშია სწორი ბიზნეს გარემოს მხრივ. ეს სასაცილოა.

***– რა არგუმენტებიც არ უნდა დაასახელოს ხელისუფლებამ, ფაქტია, რომ ივანიშვილი არ არის „არასერიოზული ძალა“ და რას დაუპირისპირებს მას ხელისუფლება?***

– ჩვენ არავისთვის არაფრის დაპირისპირებას არ ვაპირებთ. ჩვენ გვაქვს ჩვენი დღის წესრიგი და გვაქვს ჩვენი მიზნები, რომელსაც მივყვებით. ეს მიზნებია – ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ეკონომიკური რეფორმების გატარება და სამუშაო ადგილების შექმნა. ვისაც უნდა, ამ მიზნებში გვერდში დაგვიდგეს, ხოლო ვისაც უნდა, წინააღმდეგობა გაგვიწიოს და იმეოროს, „სტარაია პლოშადზე“ ან „ლუბლიანკაზე“ დაწერილი ლეგენდები, რომ საქართველო– რუსეთის დაპირისპირება, საქართველოს ბრალია, დაადგეს ამ გზას.

***– ანუ ხელისუფლება არ არის შეშინებული?***

– როგორ გეკადრებათ, ჩვენ ათასი პოლიტიკური კონკურენციის პირობებში გვიმუშავია. ეს არის პოლიტიკა და დემოკრატია. ყოველთვის უნდა გყავდეს პოლიტიკური კონკურენტი და ყოველთვის უნდა გამოითქვას განსხვავებული პოზიცია. ჩვენ ამას შეჩვეულები ვიყავით და ვართ.

ინტერპრესნიუსი

# ნიკა რურუა: კეზერაშვილი პრემიერი არ გახდება



ნიკა რურუა

კულტურის მინისტრი ნიკა რურუა უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იტალიაში ელჩად დანიშვნისა და ყოფილი თავდაცვის მინისტრის, დავით კეზერაშვილის გაპრემიერების შესახებ.

– ეს ცუდი არ იქნებოდა, თუმცა ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, – განაცხადა ნიკა რურუამ.

ინტერპრესნიუსი

# ბაღათურია სოფლის მეურნეობის მინისტრად გოროზიას დანიშვნას ეწინააღმდეგება

ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია სოფლის მეურნეობის მინისტრად ზაზა გოროზიას დანიშვნას ეწინააღმდეგება.

როგორც ბაღათურიამ აღნიშნა, „ქართული დასი“ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობიდან ბაკურ კვეზერელის წასვლას მიესალმება, მაგრამ პრინციპულად ეწინააღმდეგება მის ადგილზე ზაზა გოროზიას დანიშვნას.

– ამ პოსტს არც ერთი მათგანის კვალიფიკაცია არ შეეფერება. ეს საკადრო ცვლილება ვაის გავეყარე და უის შევეყარეს ნიშნავს, რადგან გოროზია შუასაუკუნეობრივი მენტალიტეტის წვრილი ფეოდალია, რომელიც სამეგრელოში მხოლოდ პირადი კეთილდღეობის მოწყობითა და ნეპოტიზმით იყო დაკავებული, – განაცხადა მან.

პრაიმ–ნიუსი

# ჯონ ბასი: აშშ-ის საელჩო ყურადღებით ადევნებს თვალს ივანიშვილის გარშემო მიმდინარე მოვლენებს

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ყურადღებით ადევნებს თვალს ბიძინა ივანიშვილის გარშემო მიმდინარე მოვლენებს,.

ამის შესახებ აშშ-ის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა განაცხადა, ივანიშვილთან შეხვედრის კომენტირებისას.

– ბიძინა ივანიშვილი შედარებით ახალი ფიგურაა პოლიტიკაში. მან გუშინდელ შეხვედრაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთა იმ ბრალდებების შესახებ, რომელსაც, ბიზნესმენის თქმით, მას უყენებენ. ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ ყველაფერს თვალს და თუ საჭირო იქნება, ამ საკითხებს საქართველოს მთავრობასთანაც განვიხილავთ, – განაცხადა ბასმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, საქართველოს მოსახლეობა ამ ფაქტების შესახებ თავად ბიძინა ივანიშვილისგან იღებდეს ინფორმაციას და არა – ამერიკის ელჩისგან. „ვიცი, რომ



ჯონ ბასი

გაინტერესებთ, თუ რას ვფიქრობ მე ამაზე, მაგრამ ჩემი აზრით, უფრო საინტერესოა, რას ფიქრობს ამ საკითხებზე თავად საქართველოს მოსახლეობა“, – აღნიშნა აშშ-ის ელჩმა.

მისივე განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ ხალხს მიუწვდებოდეს ხელი ინფორმაციაზე და თავად გააკეთოს დასკვნები ბოლო ორი კვირის განმავლობაში მომხდარ მოვლენებზე და იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ეს კანონს.

პრაიმ–ნიუსი

# პოლიტიკოსები საჭადრაკო დაფაზე — საპარლამენტო ოპოზიცია პაიკის როლის გარეშე

თამარ ნინიძე

ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი რომ პოლიტიკურ პროცესებს მუდმივად ადევნებდა თვალყურს, ეს მისი ინტერვიუდანაც ჩანს, რომელიც მან დამოუკიდებელ ჟურნალისტს, ია ანთაძეს მისცა. იქვე ის ადასტურებს, რომ ვარდების რევოლუციის დროს და შემდგომ პერიოდშიც ის ფინანსურადაც და რჩევებითაც ეხმარებოდა მიხეილ სააკაშვილს. ბიზნესმენი, რომელიც პოლიტიკურ პროცესებში აქამდე ფარულად მონაწილეობდა, დღეს პოლიტიკაში აქტიურად ჩაერთო და მას ხელისუფლებაში მოსვლის ჯანსაღი ამბიცია გაუჩნდა. ბუნებრივია, პოლიტიკური გეგმების განხორციელებას ის თავის გუნდთან ერთად მოისურვებს. პარლამენტის კედლებში შეყუჟული ოპოზიციის ნაწილის მიმართ ივანიშვილმა უკვე ცხადად გამოხატა თავისი პოზიცია, რომ მათთან არ ითანამშრომლებს. ბიზნესმენის პოლიტიკურ დაფაზე პაიკების როლსაც ვერ შეასრულებენ ქრისტიან-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, დემოკრატიული პარტია, „ჩვენ თვითონ“ და ახალი მემარჯვენეები.



გიორგი თარგამაძე

ივანიშვილი რომ არ ენდობა გიორგი თარგამაძეს, ამაში უჩვეულო არაფერია. ასლან აბაშიძის მეხოტბისა და მისი გუნდის იდეოლოგ თარგამაძის მეგობრობა „დიდ ასლანთან“ საარჩევნო ინტრიგებსა და სანდრო ბრეგაძესთან უთანხმოებას შეეწირა, თანაც თარგამაძემ ასლანი ისე იოლად მოინელა, დღეს რომ ასლანთან მის მჭიდრო კონტაქტებს ახსენებენ, ღიზიანდება; ბადრი პატარკაციშვილმა მას მწვანე შუქი აუნთო, უდავოდ ნიჭიერი ჟურნალისტი ტელევიზიის მთავარ სახედ აქცია, მაგრამ ბადრისაც ზურგი მაშინ შეაქცია, როცა პატარკაციშვილს ყველაზე მეტად უჭირდა და თანამოაზრეების თანადგომა სჭირდებოდა. ამიტომ ივანიშვილისთვის თარგამაძე ცხადია, რომ საიმედო დასაყრდენი არ იქნება, თანაც თარგამაძის პარტია გარეგნულად ინარჩუნებს ოპოზიციის ფორმას, ხშირად კი ნაცებისთვის იდეების მთავარ ჩამწოდებლად გამოდის.

ქრისტიან–დემოკრატებმა „რვიანი“ თავიანთი იქ ყოფნით დაშლისთვის თავიდანვე გაწირეს, ახალმა მემარჯვენეებმა კი ეს პროცესი უფრო დააჩქარეს. მემარჯვენეები ხელისუფლებამ მიმზიდველი საარჩევნო დაპირებებით თავისკენ შეიტყუა, ბიძინა ივანიშვილისთვის თორთლაძის დემოკრატიული პარტია, ედპ, „ჩვენ თვითონ“ ასევე გაიგივებულია ხელისუფლებასთან. ჯონდი ბაღათურიას „ქართული დასი“ ივანიშვილს არც კი გახსენებია, ბაღათურია რომისკენ მიმავალ გზას ეძებს, შესაძლოა, მალე ლეიბორისტებში გასეირნებული ბაღათურია კიდევ ერთ ნალეიბორისტალ კირთაძესთან ერთად შეუდგეს ამ გზას.

ბიზნესმენი ივანიშვილი თავის წერილებში არ ახსენებს ბურჯანაძის პარტიას, თოფაძის პარტიას და სალომე ზურაბიშვილის „საქართველოს გზას“. მისი აზრით, საქართველოში დასაკარგი ადამიანი არ არის, შესაძლოა, პოზიციების შეჯერების შემდეგ ამ პოლიტიკოსებთანაც შედგეს გარკვეული ტიპის კონტაქტი.

მძიმე მდგომარეობაშია „ქართული პარტია“, სოზარ სუბარის გარდა, ამ პარტიის არც ერთ წევრთან თანამშრომლობის სურვილი ივანიშვილს არა აქვს. განსაკუთრებული ანტიპათია ეროსი კიწმარიშვილის მიმართ აქვს, ეროსი „ხალხის ტელევიზიასთან“ ასოცირდება, მისი პოლიტიკური შეხედულებები და განვლილი პოლიტიკური გზა იმდენად კომპრომეტირებულია, რომ მასთან საღად მოაზროვნე არც ერთ პოლიტიკოსს არ სურს თანამშრომლობა. ცოტა ხნის წინ ქართულმა პარტიამ ამერიკის საელჩოს წინ კარიკატურული აქცია გამართა. ქართული პარტიისა და მისი ნორჩი აქტივისტების მიერ გამოტანილი ტრანსპარანტები და გარეგნული იერი იმდენად სასაცილო იყო, რომ თვით გამოუსწორებელ ანტიამერიკელებსაც უჭირდათ თავის შეკავება. ეროსი საშოვარზე გამოსული სუბიექტია და არა სერიოზული პოლიტიკური ფიგურა, თავის დროზე, სანამ ვარდოსნები მისი სიმპათიით სარგებლობდნენ, ყველა დანარჩენი მოსახლეობის მიმართ მისი პოლიტიკური აგრესია მისივე ტელევიზიის ეთერიდან ილვრებოდა, მერე კი, როცა ეროსის მადა მეტისმეტად გაეღვიძა და ის მოინდომა, რაც არ ეკუთვნოდა, ჟვანიამ დააპირა მისთვის ლაგამის ამოდება, ეროსიმ ურცხვად დაიწყო თავისი ძველი თანამოაზრის ლანძღვა და ჟურნალისტებიც მიუქსია ჟვანიას. ეს სკანდალი ისე დასრულდა, რომ ეროსი ჟვანიას დანასისხლად გადაემტერა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი მოახერხა და სააკაშვილს ელჩად დაანიშნინა თავი რუსეთში. თუმცა ელჩობა შენი ქვეყნის ინტერესების დაცვას ნიშნავს, ეს დიპლომატების დაუწერელი კანონია, ეროსი კი აგვისტოს ომის დროს და შემდეგაც ქვეყნისთვის საზიანო განცხადებებს აკეთებდა. ფულის ე.წ. ტომრების ძიებაში ეროსის მისი სხვა თანაპარტიელებიც ეხმარებიან. ლევან გაჩეჩილაძისა და მისი სააკაშვილისგან აღებული მილიონიანი გასამრჯელოების შესახებ ლეგენდები დღესაც დადის. როგორც ჩანს, ამ ნიშნით არ ესიმპათიურება ბიძინა ივანიშვილს ქართული პარტიის ხსენებული სახეები.

ივანიშვილი პოლიტიკაში თავისი გუნდით მოდის, ის პოლიტიკური პარტიის შექმნას არ გამორიცხავს, მისი პარტნიორები კი უკვე არიან ირაკლი ალასანია, რომელიც ზუსტად იზიარებს მის შეხედულებებს ხელისუფლებაში არა რევოლუციით, არამედ არჩევნების გზით მოსვლის თაობაზე, არაკონფრონტაციული და მშვიდი ალასანია ქართული პარტიის რევოლუციონერი სუბიექტიების სრული ანტიპოდია. პოლიტიკაში ინტელექტით ცნობილი რესპუბლიკელებიც და ეროვნული ფორუმის ლიდერებიც მისი თანაპარტნიორები გახდნენ, რასაკვირველია, ივანიშვილისთვის კარგი დასაყრდენი იქნებიან პარლამენტში. სამთავრობო კოალიციის შექმნის შემთხვევაში ამ მდიდარი ადამიანური რესურსების გამოყენება ივანიშვილს მხოლოდ წარმატებას მოუტანს. ასე რომ, წინ მართლაც საინტერესო პროცესები და შესამჩნევად გააქტიურებული პოლიტიკური გარემო გველოდება.

# ზვიად ძიძიგური: ხელისუფლების ნაწილი ოპოზიციაში გადასასვლელად მზად არის

ნათია ხურცილავა

კონსერვატორების ლიდერი ზვიად ძიძიგური ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე საუბრობს. ძიძიგური ამბობს, რომ მათ ოპოზიციური დიდი ერთობის შესახებ ისაუბრეს.

***— ბატონო ზვიად, ქვეყანაში პოლიტიკური რეალობა, მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი პოლიტიკურ ავანსცენაზე ღიად არ ჩანს, მაინც შეიცვალა. როგორ შეიძლება პროცესები განვითარდეს, მოვლენების განვითარების რა სცენარს ელოდებით?***

— ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვნად არის პოლიტიკური სიტუაცია შეცვლილი. პოლიტიკური განცხადებები ბატონი ივანიშვილის მხრიდან სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ მისი მომავალი გეგმების შესახებ საზოგადოებამ სრული წარმოდგენა იქონიოს. მისი მომავალი გეგმები გამოიხატება შემდეგში: ის მოდის პოლიტიკაში, რათა შეცვალოს ხელისუფლება და ქვეყანაში არსებული გაუსაძლისი კრიზისული მდგომარეობა, რომელიც ჩვენს მოსახლეობას აწუხებს, ვგულისხმობ უმუშევრობას, ეკონომიკურ კრიზისს, სოფლის მეურნეობის სრულ ჩავარდნას, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ადამიანთა უფლებების ტოტალურ შელახვას. მას უნდა, რომ ამ პრობლემების გადასაჭრელად მოვიდეს. ვფიქრობ, ძალიან სერიოზულად დაუფრთხა ძილი ხელისუფლებას, ვინაიდან ბატონი ბიძინა თავის ყველა მიმართვაში აფიქსირებს, რომ მხოლოდ არჩევნების გზით არის ხელისუფლების ცვლილების მომხრე. ეს არის ისეთი სწორი პოლიტიკური ტაქტიკა, რომელსაც ძნელად შეიძლება დაუპირისპიროს რაიმე რაციონალური, გარდა პროვოკაციებისა, ისეთი ტიპის უსუსური პროვოკაციებისა, რომლებიც ჩვენ უკვე ვნახეთ. ეს პროვოკაციები იყო ინკასაციის მანქანაზე ზეწოლის განხორციელება, მისი დაპატიმრება, ივანიშვილის შვილის მეგობრის დაპატიმრება, საჩხერელების მიმართ ზეწოლის განხორციელება, მოქალაქეობის საკითხთან დაკავშირებული სკანდალი და ა.შ. ეს არის ხელისუფლების არსენალში და სხვა არაფერი. ეს ჩვენ კარგად ვიცით, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ამ საკითხების გამოყენება, როგორც ხელისუფლება ოპოზიციის წინააღმდეგ იყენებდა, ცოტათი რთულია, ვერ გამოდის. არ გამოვა იმის მტკიცება, რომ ივანიშვილი პუტინის კაცია, რადგან საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ვარდების რევოლუციამდე და იმის შემდეგაც ბატონი ივანიშვილი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, აუცილებელი პროგრამის განმახორციელებელი იყო. თუ მაშინ არ იყო პუტინის კაცი, ახლა, როდესაც პოლიტიკაში გადაწყვიტა წასვლა, ამის შემდეგ გახდა პუტინის კაცი? ძალიან უცხო ამბავია ისიც, რომ ფულის გათეთრების ბრალდებით დააკავო იმ ბანკის მანქანა, რომელიც, ყველამ იცის, რომ ბიძინა ივანიშვილისაა და რომლის ფინანსური საქმიანობაც მსოფლიოს ცნობილი აუდიტორული კომპანიების მიერ არის შემოწმებული და დადასტურებული, რომ მისი თითოეული თეთრი თეთრია და მისი ბიზნესი კანონის ჩარჩოებშია. ხელისუფლების მიერ განხორციელებული ყველა უსუსური ქმედება, პროვოკაციებს ვგულისხმობ, ისევ ხელისუფლებას დაუბრუნდება, თანაც — ძალიან მძიმედ.

***— თქვენ განაცხადეთ, რომ ხელისუფლებას გაუჭირდება, იმ მეთოდებით შეეწინააღმდეგოს ივანიშვილს, რომლითაც ის ოპოზიციის წინააღმდეგ გამოდიოდა. მიუხედავად ამისა, მას არ ეძლევა საშუალება, არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. თუ კენჭს ვერ იყრის, თუ პარტიას ვერ შექმნის, ღიად ვერ დაიწყებს პოლიტიკურ საქმიანობას, მაშინ როგორ წარმოგიდგენიათ...***

— დაიწყებს ღიად პოლიტიკურ საქმიანობას. სრული იდიოტობაა, როდესაც ამბობენ, რომ თუ საქართველოს მოქალაქე არ ხარ, არ გაქვს უფლება, პოლიტიკური განცხადებები გააკეთო შიდა პროცესებზე. მაგალითისთვის გავიხსენებ, რომ საელჩოების წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთი ქვეყნების მოქალაქეები არიან და არა საქართველოსი, ძალიან ხშირად აკეთებენ პოლიტიკურ განცხადებებს სწორედ საქართველოზე, მაგალითად, ერიკ ფურნიე, რომელიც ძალიან აქტიურად ერეოდა ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში, ასევე ჯონ ბასი, გერმანიის ელჩი. ბულგარეთის ელჩი, ჩეხეთის ელჩი, სხვები. ისინი აკეთებდნენ პოლიტიკურ განცხადებებს, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს მათი საქმე. ამის გამო მათთვის არავის უთქვამს საყვედური. არც არავის, მიუხედავად იმისა, რომ უკმაყოფილო დარჩენილა, არ უთქვამს, რომ ამ განცხადებების გამო ესა თუ ის ელჩი ქვეყნიდან უნდა გავაძევოთ. ამიტომ ვამბობ, რომ პოლიტიკური საქმიანობის უფლება, მორალურსაც თავი რომ დავანებოთ, ყველანაირი პოლიტიკური საქმიანობის უფლება აქვს ამ ადამიანს. თუ მოქალაქეობის არმქონე პირს არ შეაქმნევინებენ პოლიტიკურ პარტიას, მე გეტყვით, რომ მის გეგმაში არის დიდი ოპოზიციური გაერთიანების სურვილი. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, მეორეხარისხოვნად ჩანდეს მისი ხელმძღვანელობით თუ თავმჯდომარეობით შექმნილი პარტიის არსებობა. არა მგონია, რომელიმე პარტიამ უარი უთხრას ბატონ ბიძინას პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებაზე. არა მგონია, პოლიტიკური პარტიის არქონის გამო მას პოლიტიკური დეფიციტი შეექმნას. არ შეექმნება ასეთი დეფიციტი.

## სააკაშვილი ივანიშვილს საქართველოდან ვეღარ განდევნის

***— დეპორტაციის შემთხვევაში?***

— ეს საკითხიც რომ განვიხილოთ, რა მერე? თუ საფრანგეთში იქნება, საფრანგეთიდან ან ვიდეომიმართვა ვერ განხორციელდება, ან საფრანგეთიდან არ შეიძლება პროცესებში მონაწილეობის მიღება? ოპოზიციური ერთობის შექმნის შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მისი არსებობა. დღესაც საერთოდ არ მიმაჩნია საჭიროდ, ბატონი ბიძინა ივანიშვილი თვითონ დადიოდეს ხალხში და პირადად ხვდებოდეს. ათასი პროვოკაციის მოწყობაა შესაძლებელი. არ გამოვრიცხავ, ხელისუფლებამ იმ დონეზე დაკარგოს ჭკუა, რომ ტერაქტიც კი მოუწყოს. ამას არ გამოვრიცხავ, გულწრფელად ვამბობ. ამიტომ საქართველოში ყოფნის პირობებშიც კი არ არის აუცილებელი, რომ ის ხალხში გამოჩნდეს. რა თქმა უნდა, გააჩნია სიტუაციას. საარჩევნო შეხვედრებზე დღეში 7 და 10 შეხვედრა ჩაატაროს ბიძინა ივანიშვილმა, ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. პირადად მასთან საუბრის დროსაც გვქონდა ამ საკითხებზე საუბარი, მაგრამ ახლაც მინდა ჩემი პოზიცია დავაფიქსირო ამ საკითხზე. ამის გაკეთება არ შეიძლება. ახლა მთავარზე მთავარია, არჩევნებამდე მივიდეს სიტუაცია. არჩევნებამდე ბიძინა ივანიშვილი იყოს ისეთივე დღის წესრიგი ქართველი საზოგადოებისთვის, როგორიც არის დღეს. დღეს ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ეს არის პირველი ხარისხის ამოცანა. დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

***— ივანიშვილის ირგვლივ განვითარებული პროცესები დღემდე ქვეყანაში მთავარი ნიუსია. გქონდათ მასთან შეხვედრის დროს ამ დეტალებზე საუბარი? ვგულისხმობ გამოჩენა-არგამოჩენას, ხალხთან ურთიერთობას.***

— ჩვენ ძირითადად იმ თემებზე ვისაუბრეთ, რომლებიც პირველი შეხვედრის დროს უნდა იყოს. ეს გახლდათ ზოგადი თემები, სადაც პოლიტიკური პროცესების სრული თანხვედრა იყო. პოლიტიკური პროცესის სრული თანხვედრა არის. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მთავარია, ბიძინა ივანიშვილი ამ ხელისუფლების ცვლილებას მხოლოდ მშვიდობიანი, არჩევნების გზით აპირებს. ეს ჩვენთან საუბარშიც და მერეც არაერთხელ დააფიქსირა. მას ძალიან კარგად აქვს წარმოდგენილი, რომ არჩევნების გაყალბება იქნება ხელისუფლების მთავარი კოზირი. ისიც კარგად იცის, როგორ უნდა შეუშალოს ხელი ამ გაყალბებას, რომ სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს ქვეყანაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ძალიან გავლენიანი, ფინანსურად და რეიტინგულად მაღალი შესაძლებლობების მქონე პირი აცხადებს იმას, რომ ის არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ მთელ რიგ ღონისძიებებს გაატარებს. ის არჩევნებს უყურებს, როგორც არა მხოლოდ პოლიტიკურ საკითხს, არამედ, როგორც სამენეჯერო საქმესაც, რომელსაც ძალიან კარგი ორგანიზება და დაცვა სჭირდება. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ამ მიმართულებით მისი ნაბიჯები ალბათ მთელი საზოგადოებისთვის გახდება ცნობილი, როდესც პოლიტიკურ სქემებსა და აქტიურობებზე გადავა საქმე.

***— ბატონო ზვიად, მიუხედავად იმისა, მიეცემა თუ არა მას არჩევნებში მონაწილეობის შანსი?***

— ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ფაქტორის არსებობა და არა იურიდიულ-სამართლებრივი პრობლემები, რომლებიც შეიძლება შექმნას ხელისუფლებამ. მთავარია ფაქტორი. ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში ქველმოქმედებას ეწეოდა, რომელსაც საზოგადოების მხრიდან ძალიან მაღალი ნდობა აქვს, რომელსაც აქვს როგორც ფინანსური, ასევე სერიოზული პოლიტიკური შესაძლებლობები.



ზვიად ძიძიგური

თავად ის ფაქტი, რომ საქართველოში აკრედიტებული საელჩოების სრული შემადგენლობა მოქალაქეობის არმქონე პირთან, როგორც ხელისუფლება ამბობს, მიდის სახლში, სადაც ის საჭირბოროტო საკითხები განიხილება, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას, ეს თავისთავად ადასტურებს იმას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ ძალიან კარგად იცის, ქვეყანაში სერიოზული პოლიტიკური ალტერნატივის მონახაზები გაჩნდა. ეს ალტერნატივა კი ქვეყანას დემოკრატიისაკენ, სამართლიანობისა და ევროპული ღირებულებებისაკენ მიაბრუნებს. ეს ვერ მოხდებოდა, თუკი სააკაშვილი მოედანზე მარტო მოთამაშე იქნებოდა. დღეს სააკაშვილი მარტო არ არის პოლიტიკურ მინდორზე. მას გამოუჩნდა ისეთი მოწინააღმდეგე, სადაც დიდი ალბათობით სააკაშვილს საერთოდ მოუწევს პოლიტიკიდან წასვლა.

***— როგორც გავიგე, თქვენ ამბობთ, რომ ელჩების პირადად მასთან სტუმრობა იმის დასტურია, რომ ქვეყანაში მეორე ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი გაჩნდა და ეს მათი მხრიდან მხარდაჭერილია?***

— ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ბერნსმა განაცხადა, რომ მათ უნდათ, ქვეყანაში თამაშის წესები იყოს დაცული. ამიტომ ივანიშვილისთვის მხარდაჭერა სწორედ თამაშის წესების მხარდაჭერას ნიშნავს. თამაშის წესები ასეთია: ივანიშვილის თუ მოუნდება არჩევნებში მონაწილეობა და პოლიტიკაში წასვლა, ამის სრული უფლება აქვს მთელი თავისი პერიპეტიებით. სხვას მოუნდება პოლიტიკაში წასვლა, სხვასაც აქვს ამის უფლება. ეს იყო მხარდაჭერა იმისა, რომ პოლიტიკაში წასვლის უფლება აქვს ყველას. ასევე ეს იყო ხელისუფლებისთვის დანახვება, რომ ის მეთოდები, რომლებსაც ის იყენებს პოლიტიკური ოპონენტის მიმართ, მათთვის მიუღებელი იყო. ელჩების ივანიშვილთან მისვლას ორი გზავნილი ჰქონდა: ერთი ხელისუფლების მისამართით იყო, მეორე — ქართველი საზოგადოების.

***— თუ გაქვთ ინფორმაცია, რომ ხელისუფლების ქვედა ეშელონები პოზიციებს თმობენ?***

— მე ის ინფორმაცია მაქვს, რომ ხელისუფლებაში, განსაკუთრებით ქვედა რგოლებში, ყველა გარყვნილი არ არის და ყველას არ სიამოვნებს იმ სიბინძურეების კეთება, რომლებსაც ზედა ეშელონებიდან ავალებენ. არსებობს სინდისიც, ღირსებაც, კაცობაც, ოჯახიშვილობაც და ქართველობაც. ეს ყველაფერი იმუშავებს იმ სიტუაციის სასარგებლოდ, რომელიც საქართველოში ცოტა ხანში კიდევ უფრო მძაფრად იქნება დასანახი. სააკაშვილი უნდა წავიდეს და მიდის, სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი მთავრდება. რატომ უნდა ჩაჰყვეს პოლიტიკურ საფლავში მიხეილ სააკაშვილს მთელი სახელისუფლებო სტრუქტურები? ეს არის სერიოზული კითხვა, რომელსაც ყველა ჩინოვნიკი, განსაკუთრებით ქვედა ეშელონებში, დაუსვამს თავის თავს. ამიტომ, ვფიქრობ, სწორედ ხელისუფლებას გაუჭირდება ისეთი ტიპის უკანონობების ჩადენა, რომლებსაც ის აქამდე სჩადიოდა.

# გიორგი ჩიტაური: დეკაზე სიმღერა იმან უნდა იმღეროს, ვისაც დეკას ჩაი ერთხელ მაინც აქვს დალეული

თეა მარხვაიძე

**პოპულარული სიმღერის გარშემო დაპირისპირება გრძელდება**



ბოლო დროს ძალიან მოდაში შემოვიდა სიმღერა „აყვავებულა არაგვზე დეკა“. ელგუჯა უძილაურს ეს ლექსი დიდი ხნის წინ აქვს დაწერილი. ამ სიმღერასაც დიდი ხანია მღეროდნენ. თუმცა მან საყოველთაო პოპულარობა ცოტა ხნის წინ მოიპოვა. სიმღერა სრულიად საქართველომ ანსამბლ „ფშავლების“ დამსახურებით გაიცნო. თავიდან მათ ეგონათ, რომ ეს სიმღერა ხალხური იყო.

როდის გაირკვა ამ პოპულარული სიმღერის ავტორის ვინაობა, რა წვლილი შეიტანა თეონა ქუმსიაშვილმა ქართული ფოლკლორის განვითარებაში, რა დავა მიდის ტექსტის ავტორსა და მომღერალ გიორგი ჩიტაურს შორის და როგორ აპირებენ პრობლემის მოგვარებას ფშავლები, ამის შესახებ გიორგი ჩიტაური „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**გიორგი ჩიტაური:**

– „აყვავებულა არაგვზე დეკა“ ძალიან პოპულარული და ლამაზი სიმღერაა. ამ ლექსის დაწერისთვის მინდა მადლობა ვუთხრა მის ავტორს ელგუჯა უძილაურს. მთელი ცხოვრება მეგონა, რომ ეს სიმღერა იყო ხალხური. „აყვავებულა არაგვზე დეკას“ ბებიაჩემიც მღეროდა. ბებიას ნამღერზე ჩემებური სტილი მივაბი და დღეს რასაც ვმღერივარ, ეს არის ჩემი ინტერპრეტაცია. გვქონდა ასეთი ანსამბლი, „ფშავლები“. სწორედ მათთან ერთად ვიმღერე ეს სიმღერა პირველად. როცა სიმღერის დამუშავება დავიწყეთ, ლექსის ავტორის ძებნას შევუდექით. ვერსად ვნახეთ ეს ადამიანი. ჩავთვალეთ, რომ ლექსი იყო ხალხური და დავიწყეთ მისი მღერა. გავიდა რაღაცა პერიოდი. სიმღერა ძალიან პოპულარული გახდა. აი, მაშინ გამოჩნდა ბატონი ელგუჯა და პრეტენზიები გამოთქვა.

***– ეს მისი მხრიდან ნორმალური იყო. სხვაც მის ადგილზე ასე მოიქცეოდა, მისი ლექსი ხალხურად რომ გამოეცხადებინათ.***

– კი ბატონო, მისი პრეტენზია ტექსტთან დაკავშირებით სამართლიანია. არც ჩვენ ვართ დამნაშავეები. აკი გითხარით, რომ ჩვენ ვერ ვიპოვეთ ავტორი. ახლა ვიცი, ვინც დაწერა ეს ლექსი. ბატონ ელგუჯას, როგორც პოეტს, დიდ პატივს ვცემ. მას ბევრი სხვა ლამაზი ლექსი აქვს დაწერილი. ისეთი ლექსებია, რომლებიც ყველას გულში მოხვდება. შეუძლებელია, ამ ტექსტმა არ შეგძრას ადამიანი და, ცოტა სიმღერის ნიჭი თუ გაქვს, არ აგამღეროს.

***– ესაუბრეთ ელგუჯა უძილაურს?***

– რამდენჯერმე ვესაუბრე და მას ჩემი პატივისცემა პირად საუბარშიც დავუფიქსირე.

***– ამის მიუხედავად, თქვენ შორის დავა ისევ გრძელდება. უძილაური ტექსტთან ერთად მუსიკაზეც აცხადებს პრეტენზიას.***

– დავა, სამწუხაროდ, არ მოგვარებულა. ელგუჯა უძილაური ამბობს, რომ ეს არის მისი მუსიკა. მე მასაც ვუთხარი და თქვენთანაც ვიტყვი, რომ სიმღერის მუსიკა ეკუთვნის მას, ოლონდ ის, რომელსაც თავად მღერის.

***– ეს როგორ გავიგოთ?***

– თავის ლექსზე თავად იმღერა ელგუჯა უძილაურმა. პირველი ის იმღერებდა ამ სიმღერას. გასაკვირი ის იქნებოდა, რომ არ ემღერა. უბრალოდ, მისი სიმღერა ფართო საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი. ეს სიმღერა ყველასთვის ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც ჩვენ დავიწყეთ მისი მღერა. დღეს ამ სიმღერას ყველა ისე მღერის, როგორც ჩვენ ვიმღერეთ.

***– უძილაურის ნამღერი მოსმენილი გაქვთ?***

– რა თქმა უნდა, მოსმენილი მაქვს.

***– განსხვავება დიდია?***

– განსხვავება არის. მაგრამ, ერთი რამ უნდა იცოდეთ, რომ მთის სიმღერები ერთმანეთს ძალიან ჰგავს. ამიტომ, საერთოდ არ უნდა ვთქვათ, რომ რომელიმე მუსიკის ავტორი ვართ.

***– თუ არის, რატომ არ უნდა თქვას?***

– ეს ძალიან ფაქიზი თემაა. საავტოროს ვურჩევდი, მთის სიმღერებთან დაკავშირებით ფრთხილი გადაწყვეტილება მიიღონ. სიმღერებს, რომლებიც იმღერება მთაში, შეიძლება ითქვას, რომ ავტორი არა ჰყავს.

***– რას ნიშნავს ავტორი, არა ჰყავს?***

– იმას, რომ ყველა სიმღერა თითქმის ერთნაირია. თუ მაინც რაღაცაა გასარკვევი, უნდა განვიხილოთ, როგორც შემსრულებლის მანერა. ნებისმიერ მუსიკათმცოდნესთან მივიდეთ და ვთხოვოთ, დაგვიწეროს სიმღერა. გამოვა ერთი და იგივე. ამ სიმღერებში არის მხოლოდ სამი აკორდი. პრეტენზია როგორ შეიძლება გვქონდეს ან მე, ან უძილაურს, ან ნებისმიერ შემსრულებელს. ეს სიმღერები ერთ მოტივზეა. მნიშვნელობა არა აქვს, ეს სიმღერები ახლა დაიწერა თუ წლების წინ. ამ ფენომენს სერიოზული გამოკვლევა სჭირდება. სხვა შეიძლება სხვანაირად ფიქრობს, ჩემი აზრი კი ასეთია. სამ აკორდში ტრიალებს ეს სიმღერები.

***– ამის მიუხედავად, ყველა მაინც განსხვავებულია.***

– განსხვავებული მანერაა.

***– მოდით, ისევ თქვენი და უძილაურის დავას დავუბრუნდეთ. მოგვარდა რამე?***

– სამწუხაროდ, არ მოგვარებულა, მაგრამ სიმღერას დეკაზე მაინც ვიმღერებ.

***– ისე, გინახავთ დეკა, ასეთი თავგამოდებით რომ მღერით მასზე?***

– მინახავს? რას ჰქვია, მინახავს. მე თუ არ მინახავს, აბა, ვის უნდა ენახა. ეგ შეგიძლიათ, სხვებს ჰკითხოთ. ბებიასთან ერთად მთაში ხშირად დავდიოდი. საქონელი გვყავდა და ვმწყემსავდით. დეკა რომ პირველად ვნახე, ძალიან პატარა ვიყავი. თიანეთში არის ბუჭყინტას მთა. იქვე არის სოფელი ქვისკარი. ქვისკარებში მოდიოდა დეკა. უნდა დაგვეკრიფა, წავედით მე და ბებია, მაგრამ დიდი წვიმა მოვიდა და უკან დავბრუნდით. რამდენიმე დღის შემდეგ წავედით და მაინც დავკრიფეთ დეკა.

***– დეკას ჩაი დალეული გაქვთ?***

– კი. დეკას ჩაის მანამდე ვსვამდი, ვიდრე ამ მცენარეს ვნახავდი. დღეს დეკაზე სიმღერას ბევრი მღერის. ზოგმა ისიც კი არ იცის, რა არის დეკა. მათ ვურჩევ, დეკას ჩაი მაინც გასინჯონ. დეკაზე სიმღერას რომ მღერი, მისი ჩაი მაინც ხომ უნდა გქონდეს დალეული. ეს სიმღერა პოპულარულია და ხშირად მთხოვენ მის შესრულებას. როცა სუფრაზე ვარ და მეზარება, ვეუბნები, რაღა დროს დეკას ყვავილობაა, დაჭკნა უკვე დეკა-მეთქი.

***– ამართლებს ეს ხერხი?***

– ხანდახან, ოლონდ მხოლოდ სუფრაზე. კონცერტზე ამ სიმღერის შესრულებაზე უარს ვერ ვიტყვი.

***– ამ სიმღერის გარშემო დავა არ შეწყვეტილა. პრობლემები არ შეგექმნებათ ამ სიმღერის გამო?***

– წესით, არ უნდა შემექმნას. საავტორომ მითხრა, რომ თანხა უნდა გადამეხადა.

***– რა ოდენობის თანხაზეა საუბარი?***

– 300 ლარი უნდა გადავიხადო და მთელი წლის განმავლობაში, როცა მინდა, მაშინ ვიმღერებ.

***– მხოლოდ თქვენზე ვრცელდება ეს?***

– ყველაზე.

***– თქვენ იხდით ფულს?***

– არ გადავიხდი და საერთოდ აღარ ვიმღერებ ამ დეკას. პირადად ელგუჯა უძილაური არ მინახავს. როცა დრო მოვა, მივალ და ვნახავ. რაც საჭირო იქნება, იმას გავაკეთებ. მე ერთი რამე ვიცი, რომ ასეთ რაღაცაზე ჩივილი არ შეიძლება. სხვების არ ვიცი, მაგრამ მთის ხალხმა ერთმანეთს არ უნდა ვუჩივლოთ. ასე არ შეიძლება.

***– რატომ არ შეიძლება?***

– იმიტომ რომ მთაა. მთაში სხვანაირი ხალხი ცხოვრობს და ჩვენ შორის პრობლემები სხვა გზით უნდა მოგვარდეს. მესამე პირი არ გვჭირდება. დარწმუნებული ვარ, მე და ბატონი ელგუჯაც ასე მოვაგვარებთ ამ პრობლემას, მანამდე კი ამ სიმღერას ისევ ვიმღერებ.

***– თქვენ უკრაინაში ქართული კულტურის ცენტრში ბავშვებს ქართულ სიმღერას ასწავლით. ამ სიმღერას უკრაინაშიც ამღერებთ ბავშვებს?***

– რა თქმა უნდა. ოლონდ მხოლოდ დეკა ხომ არ არის. დეკაზეც ვასწავლი და შალშავზეც.

***– ეს რაღაა?***

– მცენარეა, სამკურნალო ჩაის აკეთებენ. უკრაინაშიც ვასწავლი ბავშვებს მთის სიმღერებს.

***– გამოდის, კიევში ყოფნამაც ვერ ჩამოგიყვანათ ბარში?***

– ვერ ჩამოვედი. მაინც მთაში დავრჩი.

***– ზემოთ თქვით, რომ დეკას ჩაი დამილევია. დეკაზე შემწვარი მწვადი გიჭამიათ?***

– აუფ, მაგას რომ შევჭამ, მერე უნდა დავწერო დეკაზე ახალი სიმღერა.

***– ასეთი მაგარია?***

– აბა რა. დეკაზე აზრზე არ არიან. ერთმა გოგომ გამომიგზავნა სურათი, მგონი, დეკას სურათია და ნახეო. დავხედე და კინაღამ გადავირიე, პლანის ფოთლის სურათი იყო. ამაზე მეუბნებოდა, დეკააო.

***– კიდევ კარგი, არაგვზე პლანი არ ყვავის, თორემ რა სიმღერები დაიწერებოდა.***

– აბა. მერე მაგაზე გახდებოდა პოპულარული სიმღერა და პოლიცია გამდიდრდებოდა ჯარიმებით.

***– მოდით, სერიოზულ თემაზე გადავიდეთ. ბევრი მიიჩნევს, რომ უგემოვნოა დეკაზე ნამღერი სიმღერა და ის სიმღერებიც, რომლებიც ახლა პოპულარულია, უგემოვნოა.***

– გემოვნებაზე არ დავობენ. თუმცა, ვერ დავეთანხმები, რომ ეს სიმღერები უგემოვნოა.

***– ადრე ხალხური სიმღერები დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა. ახლა ძალიან პოპულარულია. როგორ ფიქრობთ, ამის მიზეზი რა არის?***

– მოდაში მართლაც შემოვიდა. ფოლკლორით ბევრი დაინტერესდა. ეს თეონა ქუმსიაშვილის დამსახურებაა. ამ შესანიშნავი გოგოს ტრაგედიამ დიდი გავლენა იქონია ყველაზე. ამ ფაქტმა ყველა შეძრა. ამის შემდეგ მისი შემოქმედება ყველამ გაიცნო. ადრე მის შემოქმედებას არ იცნობდნენ.

***– რატომ არ იცნობდნენ, ის ძალიან კარგად მღეროდა.***

– თეონა იყო ძალიან მორიდებული. თავის გამოჩენა არ უყვარდა. ცდილობდა, სულ უკან მდგარიყო. ძალიან თავმდაბალი იყო. მისი შემოქმედებაც არ იყო ცნობილი. მე თავს ვთვლი ბედნიერ ადამიანად, რომ მისი მეგობარი ვიყავი. თამამად ვიტყვი, რომ ფოლკლორში თეონამ წარუშლელი კვალი დატოვა, ისევე, როგორც ჰამლეტ გონაშვილმა. ზემოთ ვთქვი, რომ მთის სიმღერებს ავტორი არ ჰყავს. აი, თეონა კი ნამდვილად არის ავტორი. მისი სიმღერები აბსოლუტურად განსხვავებულია.

მის სიმღერას უგულოდ ვერ იმღერებ. თეო უგულოდ არასდროს მღეროდა. ისე მღეროდა, ძარღვებიდან სისხლი დაგეძრებოდა ადამიანს. მან შექმნა თავისი ეპოქა, რომელიც ძალიან ბევრ წელს გაუძლებს.

***– სულ მორიდებული იყოო, თქვით, მისი სიმღერებიც სევდიანი იყო. ხომ არ გრძნობდა, რომ ასე მალე წავიდოდა ამქვეყნიდან?***

– არა მგონია, რომ წინასწარ რამეს გრძნობდა. მასზე ძალიან მიჭირს საუბარი. მოკლე იყო მისი ცხოვრება, მაგრამ ძალიან ბევრი მოასწრო, ჩვენ კი დიდი საჩუქარი დაგვიტოვა თავისი შემოქმედებით. დღეს მასზე ბევრს საუბრობენ. ყველა მას იხსენებს. თეონას ასეთი რამეები არ მოეწონებოდა. კარგი იქნება, თუ მასზე მხოლოდ მისი მშობლები, დედმამიშვილები და მეუღლე, გელა დაიაური ისაუბრებენ, რომელიც მართლა საოცარი ადამიანი გამოდგა და საოცრად გაუმკლავდა ამ დიდ ტკივილს. ისე, თეონა ბედნიერი ადამიანი იყო, ასეთი მეუღლე რომ შეახვედრა ბედმა.

***– არ გიცდიათ, მისი სიმღერა გემღერათ?***

– არ მიცდია, უფრო სწორად, ვერ ვბედავ.

***– თუმცა, მასზე დაწერეთ სიმღერა.***

– ჩემს ცხოვრებაში არასოდეს დამიწერია. ადამიანს ლექსი უნდა დააწერინოს სევდამ, სიყვარულმა ან დიდმა ტკივილმა. „არტ გენის“ ფესტივალზე ვიყავი, როცა ეს დიდი ტრაგედია მოხდა. წავედი იქიდან სახლში. არც პასტა მქონია, არც ფურცელი. ავიღე ფანდური და ვიმღერე სიმღერა „შენ სიყვარულმა“.

***– ფშაველ კაცს ფანდური თუ ხელში აქვს, პასტა რაში სჭირდება.***

– ეგეც არის, მაგრამ სხვა დროს ვერ დავწერ. მისი სიმღერის მღერას კი ვერასდროს გავბედავ. ამ სიმღერის შესრულებაც ძალიან გამიჭირდა. ყველას ვურჩევ, თეონას სიმღერების მღერისგან თავი შეიკავოს. ისე სხვა ვერ იმღერებს. ის სხვა იყო.


## შპს „ინტერფარმი+“ აცხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად დისციპლინებში:

სამედიცინო ბიოლოგია, ბოტანიკა, ადამიანის ნორმალური ანატომია, არაორგანული ქიმია, მიკრობიოლოგია, ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგია, ორგანული ქიმია, ჰიგიენა, პათოლოგიური ფიზიოლოგია, ფიზიკური და კოლოიდური ქიმია, ფარმაკოგნოზია, ფარმაცევტული ქიმია, ანალიზური ქიმია, ფარმაკოლოგია, ბიოქიმია, წამალთა ტექნოლოგია, სოციალური ფარმაცია, ფარმაცევტული ინფორმაცია, ფარმაციის მენეჯმენტი, სამკურნალო საშუალებათა სტანდარტიზაცია, კლინიკური ფარმაცია, ფარმაციის მარკეტინგი, ბიოფარმაცია, ფარმაცევტული ბიზნესის ორგანიზაცია და ეკონომიკა, ფარმაკოკოსმეტიკური ორგანიზაციის საკადრო მენეჯმენტი, ბიოსტატისტიკა. დერმატოკოსმეტოლოგიის საფუძვლები, ნუტრიციოლოგია, კანის კომპლექსური დიაგნოსტიკა, ფიზიოთერაპია, დეკორატიული კოსმეტოლოგიის საფუძვლები, არომალოგია.

**საბუთები მიიღება 21 ნოემბრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით.**

მსურველებმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინონ დოკუმენტების ელექტრონული ვერსია:

- განცხადება;
- CV
- 1 ფოტოსურათი;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სასწავლო კურსის სილაბუსი კალენდარული გეგმით 15 კვირაზე სემესტრში.

**nati_gorgidze@yahoo.com**


# ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო დევნის ფაქტებზე ინფორმაციას ავრცელებს

ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო მორიგ განცხადებამ რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

გაცნობებთ, რომ უკანასკნელი დღეების განმავლობაში მიმდინარეობს ფსიქოლოგიური ზეწოლა ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერებზე, ასევე მათი ახლობლების მიმართ.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს ამ ფაქტების შესახებ.

1. „ქართუ ჯგუფმა“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის რეკონსტრუქციის (ასფალტის დაგება) სამუშაოების განხორციელებისათვის ერთერთ კომპანიასთან გააფორმა ხელშეკრულება. შესრულებული სამუშაოსათვის ავანსის მიღებამდე ამ კომპანიამ მოსალოდნელი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით თანამშრომლობაზე უარი განაცხადა.

2. ბერა ივანიშვილის კლუბისათვის „ქართუ ჯგუფმა“ შეუკვეთა ხმის გამაძლიერებლები აშშ-დან, რომელიც 1 კვირის განმავლობაში საბაჟოზეა („ლასარე“) გაჩერებული. მიუხედავად წერილობითი მიმართვებისა, ამ ფაქტს გამოხმაურება ჯერ არ მოჰყოლია.

3. ბაკურიანში „ქართუ ჯგუფმა“ დაასრულა საბაგირო გზის გაყვანა, თუმცა ზედამხედველობის სამსახური დღემდე არ ატარებს ჩატარებული სამუშაოების მონიტორინგს.

4. „ქართუ ჯგუფის“ თანამშრომელებს საცხოვრებელ სახლებში აკითხავენ უბნის ინსპექტორები (მიზეზი – უბნის ინსპექტორის შეცვლა, შესაბამისად სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება) და ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები, რჩევით, რომ პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, უარი თქვან „ქართუ ჯგუფში“ სამსახურზე.

5.ამავე მიზეზით სხვადასხვა კომპანიები უარს აცხადებენ „ქართუ ჯგუფისა“ და ბერას ლეიბლის ლოგოს „ქართული ოცნება“ მაისურებზე დატანაზე. გვაქვს ინფორმაცია, რომ ერთერთი სტამბის ხელმძღვანელი დაკავებული იყო მხოლოდ იმის გამო, რომ დაბეჭდა მაისურები.

მედიანიუსი

# ეთერ თათარაიძე: ჩვენს საღამოზე სუსტი ლექსები არ იქნება

## ხალხური პოეზიის დღესასწაულს რუსთაველის თეატრი უმასპინძლებს

ეკა ირემაშვილი



25 ოქტომბერს რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში ხალხური პოეზიის საღამოები გაიმართება, რომელიც უკვე წლებია ვახუშტი კოტეტიშვილის სახელს ატარებს.

საღამოს ეთერ თათარაიძე და მისი მეუღლე ამირან არაბული გაუძღვებიან. როგორც ფოლკლორისტი ეთერ თათარაიძე აღნიშნავს, წლევანდელი საღამო ყველასგან გამორჩეული და მრავალფეროვანი იქნება.

ქალბატონ ეთერს მიაჩნია, რომ ქართულ ენაზე დიდი მადლი ამქვყენად უფალს ჩვენთვის არც კი მოუნიჭებია, ამიტომ მისი შესწავლა თითოეული ქართველისთვის უპირველეს საფიქრალს უნდა წარმოადგენდეს. მხოლოდ შენი მშობლიური ენის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ გაქვს უფლება სხვა უცხო ენებს დაეუფლო.

ჩვენი რესპოდენტი ცრემლების გარეშე ვერ საუბრობს ხალხური პოეზიის საღამოების ფუძემდებლების ვახუშტი კოტეტიშვილსა და თენგიზ მირზაშვილზე (ჩუბჩიკა), რომელთა ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ საღამოს წამყვანებისთვის ასმაგად საპასუხისმგებლოა იმ ღონისძიებების ხარისხი, რომელიც ქართულ ხალხურ სიბრძნეს ემყარება.

რა სიახლეები იქნება ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის საღამოზე, ვინ უწოდებს გოიმურ საღამოებს ხალხური პოეზიის დღესასწაულს და რა პასუხს აძლევს ცნობილი ფოლკლორისტი ე.წ. „სვეცკებს", ამაზე ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

**ეთერ თათარაიძე:**

– 25 ოქტომბერს ტარდება ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის საღამო, რომელიც რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში გაიმართება. ვეპატიჟებით მთელ საქართველოს. ნამდვილად ელოდებათ დიდი სიამოვნება ამ დარბაზში მოხვედრრილ ადამიანებს, იმიტომ რომ ყველაფერი იქნება ძალიან გემოვნებიანი, ძალიან ფასეული ჩვენი ქვეყნისთვის. ნებისმიერი ხალხური მელექსე ძალიან საინტერესოა, რაც მთავარია, მართალი და გულწრფელი. ამ დარგისთვის, ზეპირისიყვიერებისთვის ეს საღამო არის წლის მანძილზე, არ მიყვარს ეს სიტყვა, მაგრამ, შემაჯამებელი და რჩეული ადამიანების თავშესაყარი, საფიხვნო, სადაც ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავის გულისნადებს, უზიარებენ დარბაზს და თავის ქვეყანას. გულწრფელად მინდა, რომ ძალიან ბევრი გემოვნებიანი ადამიანი მოხვდეს ამ დარბაზში, სხვანაირები იქ ისედაც არ ხვდებიან და მიიღონ გულწრფელად ის სიამოვნება, რასაც თავისი ეროვნული და სულიერი კულტურით ტკობიბის ერთი საათი ეწოდება.

***– რით არის მნიშვნელოვანი ხალხური პოეზიის საღამოები?***

– ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გამოხმაურება იმ დიდი საღამოებისა, რომელიც 1979 წელს ჩატარდა პირველად. ეს საღამოები რამდენიმე წელი ინტენსიურად იმართებოდა, მერე ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული უბედურებების გამო შეწყდა. 2000 წელს კი აღვადგინეთ ხალხური პოეზიის საღამოები და მიგვყავდა ბატონ ვახუშტი კოტეტიშვილთან ერთად მე და ჩემს მეუღლეს, ამირან არაბულს. ამის შემდეგ ისევ შეწყდა ეს საღამოები და აი, 2008 წელს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა კვლავ აღადგინა ხალხური პოეზიის საღამოები. მესამე და სამართლიო, რომ იტყვიან, ამ ამაზეა ნათქვამი. იმ დროიდან აქ ვარ და ბედნიერი ვარ, რომ ამ დარგს ვხელმძღვანელობ. შეიძლება ბევრისთვის არაფერს ნიშნავს, მაგრამ ჩემთვის მართლა ბევრს ნიშნავს, რომ ვხელმძღვანელობ ზეპირსიტყვიერებას. მაქვს საამაყოდ და საქთმელად, რომ არ მოვკალით ეს ხალხური პოეზიის დღესასწაული, გინდაც ორი ადამიანი დაესწროს, მიუხედავად იმისა, რომ პირთამდე სავსეა ხოლმე რუსთაველის თეატრის დიდი დარბაზი. რუსთაველის თეატრი დაგვებედა ამ ღონისძიებებისთვის და მადლობა უფალს. მე ვთვლი, რომ ეს არის გამართლებული ჩვენი კულტურისთვის.

***– თქვენთვის სიმბოლურია რუსთაველის თეატრში ქართული ზეპირსიტყვიერების აჟღერება?***

– რა თქმა უნდა. საერთოდ, არც მგონია, რომ „ვეფხისტყაოსანს" ჰყავს ავტორი. სულ მგონია, რომ უფალმა ან სასწაულით გამოგზავნა ეს ტექსტი, ან ვინმე, რომლის სახელი და გვარიც სამუდმოდ დაკარგა, ესე ზეციდან უკარნახა და აწერინა. ცოცხალი ადამიანის დაწერილს არც გავს „ვეფხისტყაოსანი" და შემიძლია ვთქვა, რომ ფანტასტიური ვარიანტები გვაქვს ხალხური ვეფხისტყაოსნისა მთელ საქართველოში. სიუჟეტები ზოგჯერ ძალიან სასცილოც არის ხოლმე.

***– მათი შეკრება არ გიცდიათ?***

– კი, შეკრებილი მაქვს ხალხური ვეფხისტყაოსნის ძალიან ბევრი ვერსია ჩემი ექსპედიციების წყალობით. ხანდახან ძალიან საინტერესოდ ვითარდება მოვლენები, ხანდახან იუმორშიც, ამბებიც როგორ გაიშინაგანეს, როგორ გაიგეს ამა თუ იმ კუთხეში ადამიანებმა, სიუჟეტები ზოგჯერ გავრცობილია ხოლმე. ესეც ეხება ამ დარგს და უნდა ვიცოდეთ, რომ გვაქვს ამ გენიალური ნაწარმოების ხალხური ვარიანტები. ზეპირსიტყვიერებაში ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ვარიანტები.

***– ბევრისთვის ფოლკლორი მარტო ცეკვა და სიმღერაა. რა არის რეალურად ფოლკლორი?***

– ეს არის ჩვენი სული, ჩვენი მარტივი ფიქრი დედამიწაზე, ფილოსოფიაზე, ეს არის ჩვენი გულწრფელი ფიქრი ჩვენს ყოფნაზე, წუთისოფელზე, ალარყოფნაზე. ეს არის ძალიან შორი და ღრმა ფილოსოფია, ეს არის მთელი ჩვენი ფესვები და მწვერვალები. ეს საღამო, ხალხურ სიტყვიერ კულტურას რაც ეხება, არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის და გულწრფელ მადლობას ვეუბნები ჩვენს მერიას, რომელიც ამ ღონისძიების ჩატარების საშუალებას გვაძლევს. არც სამთავრობო და არც არასამთავრობო ადამიანი არ ვარ, მაგრამ ვიცი სიკეთის დანახვა და შემიძლია ვთქვა, რომ მერიის თანადგომის გარეშე, ეს საღამო ვერ ჩატარდებოდა. არ მიყვარს სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა, ის რაც ჩემს დარგს ეხება, ვამბობ, მხოლოდ ერთს – თუ ეს საღამო მოკვდება, საქართველოში განგაშის ზარები უნდა შემოვკრათ. შეიძლება ეს საღამოები ხან იყოს ხარისხიანი, ხან არ იყოს ხარისხიანი, მაგრამ უნდა ვაცოცხლოთ, მარტო იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანას არ დაემუქროს საერთოდ სხვაგან გახედვის და თავისის დაკარგვის საშიშროება. ამიტომ აქვს ამ საღამოებს დიდი მნიშვნელობა.

***– რა იქნება 25 ოქტომბერს?***

– აქ არ იქნება მარტო ლექსი, აქ იქნება იუმორიც, ამბებიც, რითიც ჩვენ გამოვირჩევით სხვა ხალხებისგან. ეს იქნება მთლიანად ჩვენი სულიერი კულტურის წარდგინება. იქნება სიმღერაც, ცეკვაც, ეთნოგრაფიული ჩანართებიც. ეს ყველაფერი ერთად შექმნის იმ საათნახევრიან პროგრამას, რომელიც წლიდან წლამდე მზადდება.

***– საკმარისია საათნახევარი?***

– არ არის საკმარისი, მაგრამ ვცდილობთ შევამჭიდროვოთ. იმიტომ შევამჭიდროვეთ მონაწილეთა რაოდენობა, რომ უფრო მეტად მოხდეს დარბაზსა და სცენას შორის სულიერი კავშირი. წელს გეზი ცოტა სხვანაირად ავიღეთ. არ ვცდილობთ ყველა წელს ყველა კუთხიდან ჩამოვიყვანოთ სტუმრები, იმიტომ რომ ვერ ესწრება ლექსები. ხანდახან მელექსე, რომელიც ჩამოგვყავს, ერთ ლექსზე მეტს ვერ ასწრებს და მისი საკადრისი წარდგინება ვერ ხდება. არც ერთ ჩვენს საღამოზე არ წაკითხულა ოდნავ სუსტი ლექსიც კი, იმიტომ რომ ჩვენ ამას არ დავუშვებთ.

***– ვინ საზღვრავს ლექსების სიძლიერეს?***

– ვიტყვი გულწრფელად – მე და ამირანი. ვერავის ვერ დავაბრალებთ. დავდივართ ჩვენ მთელს საქართველოში და ვამზადებთ ამ საღამოს, ჩვენ ვარჩევთ მონაწილეებს და ვიღებთ ხერხემალს ამ საღამოსთვის.

***– წელს სად იყავით?***

– იმიტომ კი არა, რომ ჩვენ აღმოსავლეთ საქართველოდან ვართ, დასამალი არაფერია, ლექსები აღმოსავლეთ საქართველოში უფრო ძლიერია. თუმცა ზეპირსიმტყვიერების სხვა ჟანრები შეიძლება ათასჯერ მეტად ძლიერი იყოს დასავლეთ საქართველოში. ჩვენ წონასწორობა არ დაგვირღვევია და ვერც დავარღვევთ. აუცილებლად უნდა გასინჯო სამეგრელოს გული, ჩაიხედო მის მითოლოგიაში, ასევე სვანურ სიტყვიერებაში. გურულებს თავისი სიამაყე აქვთ, აჭარას თავისი. საქართველოს ყველა კუთხეს აქვს თავისი საამაყო ზეპირსიტყვიერებაში. ამიტომ ერთი საათი საკმარისი არ არის. ჩვენ გვინდა ეს საღამოები შევთავაზოთ საქართველოს მთელ კუთხეებს. იყო ეს ტრადიცია, ამას მე და ამირანი ვერ მოვიგონებთ. ჩვენ ისეთი ადამიანების მემკვიდრეები ვართ, რომლებმაც ხალხური პოეზიის საღამოებს ჩაუყარეს საფუძველი. იგულისხმება ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი, თენგიზ მირზაშვილი, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ბატონი ალექსი ჭინჭარაული. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ამ ყველაფერს თავის თავზე მეტად უფრთხილდებოდნენ. ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ რაღაცეები მოვიგონოთ. უბრალოდ შეიძლება ეს ყველაფერი გავხადოთ თანამედროვედ მისაწვდომი საზოგადოებისთვის, თუნდაც ფორმით, თორემ მე რა უფლება მაქვს, ან რა აზრი ექნება გენიალურ ხალხურ ლექსს ლიტერატურულად გალექსილს? გვინდა უფრო მივუახლოვოთ ახალგაზრდა მსმენელს ხალხური სიბრძნე, თორემ ჩემი ასაკის და კიდევ უფროსი ასაკის თაობის მსმენელისთვის ეს ლექსები არ საჭიროებს კომენტარებს. მომავალში კი მოვა კომპიუტერებში ქართულნასწავლი თაობა, რომლებსაც უკვე ეშლებათ და იძახიან ქართული ხალხური ფოლკლორიო. მათ არ იციან, რომ თუ ფოლკლორია, ხალხური აღარ უნდა და თუ ხალხურია, ფოლკლორი აღარ უნდა. ზოგს კი ფოლკლორი მხოლოდ ცეკვა და სიმღერა ჰგონია. მათ არ იციან, რომ ფოლკლორი ხალხით და სიბრძნით იწყება. ფოლკლორი პირველ რიგში დაერქვა ხალხურ სიბრძნეს. აღარ ვარ 20 წლის გოგო, რომელსაც რაღაცეები მოეჩვენება, რა თქმა უნდა, უშეცდომო მე ვარ ვარ და ღმრეთმა დამიფაროს, რომ მენტორის ტონით ვინმეს რამე ვუთხრა, მაგრამ სამუდმოდ მომთხოვნი ვარ იმისა, რომ კომპლექსურად დაიწყოს ფოლკლორის კვლევა. ფოლკლორს რომ მარტო სიმღერას დაუძახებ და ცეკვას გამოაკლებ, სიტყვას რომ გამოაკლებ, ხელსაქმეს რომ გამოაკლებ და ათას სხვა რამეს გამოაკლებ, მაშინ ვერც იკვლევ და ვერც ფოლკლორის გონზე ხარ. სხვა თუ არაფერი, პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან. ჩვენ რისგან ვართ ქვეყანა? სიტყვისგან არ ვართ ქვეყანა? ჩვენ ხომ ვინმეს ნასესხებ ენაზე არ ვმეტყველებთ? ჩვენ ხომ უმდიდრესი ენის ქვეყანა ვართ? ჩვენ ხომ ძალიან ძველი და უნიკალური ენის პატრონი ქვეყანა ვართ? რომელსაც შეუძლია ნებისმიერი ნიუანსი გამოხატოს, გაფიქრებისაც კი თავისი ენის წყალობით. მე არ მემეტება ეს ყველაფერი დასაკარგავად, ამას ვერ გავიმეტებ, სულ რომ სახრჩობელაზე ამიყვანონ, იმიტომ რომ ამის სიყვარულით დავიბადე და ამის სიყვარულით უნდა მოვკვდე. სხვა არაფერი ღირებული არ გამაჩნია დედამიწის ზურგზე. ჩემთვის არ არსებობს არაფერი ჩემი ენის იქით. ჯერ ეს არის ჩემთვის, ჩემი კულტურაა პირველი და მერე სხვისა. მე რომ ფული მქონდეს, დედამიწაზე უწყვეტლად ვიმოგზაურებდი, ყველა ხალხს შევხვდებოდი, მათ კულტურას გავიცნობდი, თან წლებიც რომ მქონდეს და ღონეც რომ მქონდეს, ჟინი კი მაქვს. 50 და 55 წელი ადამიანისთვის არის ისეთი ასაკი, როცა ძალიან ძნელია ცხოვრება. ღმერთმა ამ ასაკამდე მოგყაროთ და მერე მიხვდებით რაზე ვსაუბრობ. ნამდვილად არ ვთვლი, რომ დავბერდი, ნამდვილად ეს ის წლებია, როცა უფრო მეტად გწყდება გული იმაზე, რაც ვერ მოახერხე იმ შენს დარგში, რისი სურვილიც გაქვს. იმდენი ოცნება მაქვს ზეპირსიტყვიერებაში.

***– დაგაგვიანდათ?***

– ვერ ვიტყვი ასე. ჩვენ არ გავჩერებულვართ. უბრალოდ ცხოვრებამ არ მოგვცა მეტის საშუალება. ჩვენ დღესაც ორივენი ხან მწვერვალზე ვართ, ხან ჭალაში ვართ და უფსკრულისკენ, გამუდმებით რაღაცას ვეძებთ ჩვენი კულტურიდან. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი სიზარმაცით რამე გავაფუჭეთ. შეიძლება ეგეც იყო, მაგრამ არაფერი გადაგვიდია და დაგვიზარებია. ხან უქონლობა არ გაგიშვებს, თორემ ავადობას არ შევპუებივართ. სიცხიანიც ვყოფილვარ ექსპედიციაში. უგონოდ მტკივა ძვლები, ძვლების ჭრაჭუნითაც ვყოფილვარ მწვერვალზე ამძვრალი ადამიანის და სიტყვის ძიებაში, რაღაც ფრაზის მოსასმენად.

***– შემოგვრჩნენ ხალხური სიტყვის მარგალიტები?***

– ძალიან სერიოზული მარგალიტები გვყავს. მოდის თაობა და ეს ამ საღამოზეც გამოჩნდება, რომლებიც არიან მაგალითები იმისა, რომ არასოდეს არ მოკვდება საქართველოში ის, რასაც სიტყვის მგრძნობელობა ჰქვია.

***– ანუ, მათზე არანაირი ცივილიზაცია არ მოქმედებს?***

– ასე ვიტყოდი – ამაზე ცივილური დედამიწაზე არც არაფერია. როგორ შეიძლება ბაიაშვილს, რომელმაც წუთისოფელზე შექმნა გენიალური ქმნილებები, ვინმე 900 დიპლომიანი გაუტოლდეს. ან ივანე წიულაურს, რომელმაც ამოთქვა, „რამ დამაბერა ის მკითხა", ვინმე ოქსფორდდამთავრებულმა რამე უთხრას ამ დარგში, ან ფილოსოფიაზე, ან ყოფნაზე, ან არყოფნაზე, ან გამოცდილებაზე, ან ცხოვრებაზე. ვერავინ მათ ვერ შეედრება. ეს არის ხალხური სიბრძნე. აბა რისთვის ვიკლავთ თავს, იმისთვის, რომ სიტყვების რახარუხი მოვაგროვოთ? ჩვენს თანამედროვეებს დრო აღარ აქვთ, რომ იმას ჩაუღრმავდნენ, რაც ჩასაღრმავებელი აქვთ და მერე დააშენონ 30 ენა. თუ ასე მოიქცევიან, ჩვენზე ბედნიერი არავინ იქნება. ჯერ შენი უნდა იცოდე და მერე უნდა ისწავლო რაც შეიძლება მეტი ენა. შენი თუ არ იცი, რამდენიც გინდა ისწავლე. როგორც ღამურას დაემართა და ძალიან ინანა ის ფრთები, ეგეთი ფრთები იქნება სხვების ენის სწავლა და თავისის დაკარგვა. სულ ღამურას მდგომარეობაში ყოფნა მოუწევთ. ვაფრთხილებთ სულ ყველას – ჯერ თავისი ენა ისწავლონ, მის შესაძლებლობებს ჩახედონ და მერე ძალიან ბედნიერები იქნებიან, ამით ჩვენი ქვეყანაც იქნება ბედნიერი, რომ მაგრად ეცოდინება ინგლისური და 30 უცხო ენა. სულ პოლიგლოტებად აქციოს ღმერთმა საქართველო, მაგრამ ჯერ ქართული უნდა ვიცოდეთ. ეს არის მოთხოვნა, იმიტომ რომ ეს ისეთი შესაძლებლობის ენაა, რომელსაც არც საზღვარი აქვს და არც მთავრდება, უფსკეროა, უძიროა და უკიდეგანოა, არსად არ მთავრდება. ეს დიდი საჩუქარი გვაქვს უფლისგან. როგორც კი ამას გაებუტები, მაშინვე დაისჯები. მომწვდა ე.წ. სვეტების ნათქვამი, ეს გოიმური ხალხური პოეზიის საღამოო, უთქვამთ და მათ გასაგონად ვიტყვი, ეს გოიმური ხალხური პოეზიის საღამო არ მოუშალოს საქართველოს. ამ გოიმურ პოეზიაზე ფიქრი არ მოაკლოს უფალმა ჩვენს ქვეყანას.

***– არ გეწყინათ?***

–ხალხურშია ძალიან მაგარი ნაქთვამი – ვირის წიხლი საწყენი არ არისო. არ ვარ მკვეთრი განცხადებების მაკეთებელი, მეჯავრება უხეშობა მეტყველებაში, მაგრამ მე არ მომიგონია, ეგ არის ჩვენი სიბრძნე, ის გოიმობა, რასაც ეს სვეტები ეძახიან.

***– თქვენი შვილებიც მოწამლეთ ფოლკლორით?***

– პროფესიით არ არიან ფოლკლორისტები, მაგრამ ჩვენი შვილები გაიზარდნენ ჩვენთან ერთად ექსპედიციებში. მათ მოაქვთ გახარებულებს ჩემთვის რაღაც ამბები. სულ სხვადასხვა პროფესიის ხალხია, მაგრამ ჩემს შვილს ისეთი აზროვნება და მეტყველება აქვს ქართულში, მადლობელი ვარ უფლის. ამის საიუდმლო ის არის, რომ სამ დიალექტზე საუბრობენ ჩემი შვილები – წავლენ თუშეთში, თუშები არიან, ავლენ ხევსურეთში – ხევსურები. წავლენ ხევში და მოხევეებიც იქნებიან.

***– თქვენ და ბატონი ამირანი საერთო ინტერესებმა დაგაკავშირათ?***

– ჩვენ ერთმანეთს ძალიან შევუწყეთ ხელი. ჩვენ შეგვიძლია ერთი სიტყვით ერთი კვირა ბედნიერებმა ვიაროთ. ერთი დავიწყებული სიტყვით, ან ფრაზით, ან მაგარი ვილაცის ნათქვამით გადავიაროთ და გადმოვიაროთ მწვერვალები. ასეთი შტერები ვიყავით და ასეთი შტერები დავრჩით სიბერეში. თუკი შემხვდებოდა ადამიანი, რომელიც ჩემს განცდებს და გატაცებებს ვერ გაიგებდა, მეც ვერ შევძლებდი მაშინ გამეგო, რატომ აიღო ამირანმა ფოტოაპარატი, ჩამწერი და გადაიკარგა კვირაობით სახლიდან. ერთად ვიკვლევდით საფლავებს და ერთად ვიკვლევთ ახლაც. წასულა ამირანი ექსპედიციაში და იქიდან ტანზე მხოლოდ პერანგის საყელოთი დაბრუნებულა. შეყოლია და მზეში და წვიმაში ერთი პატარა აღმოჩენით უცხოვრია და მოსულა, როგორც ტყვეობაში ნამყოფი. მეც წავსულვარ, მაგრამ მთლად ამირანივით არ დამმართნია. მეც ვიცი, უცებ მოვიფიქრებ და წავალ ხოლმე. ამის გარეშე ჩვენ ცხოვრება არ შეგვიძლია. სულ ერთად ვართ და მაზალო წყვილი ვართ.

***– საფლავებს კიდევ იკვლევთ?***

– რა თქმა უნდა. ამასთან დაკავშირებით კურიოზებიც კი გვაქვს. საქართველოში ახალი სტატუსი შევიძინეთ – ჩვენს ალბომს ვინც იცნობს, გვირეკავენ და გვეკითხებიან, დიდი ხანია გარდამეცვალა ბებო, რომელზეც ვგიჟდებოდი, ეხლა მინდა გავუკეთო საფლავის ქვა და რას მირჩევდითო. ვხუმრობთ ხოლმე, ასეთი ლატაკები რომ ვართ, რამე შპს ხომ არ გავხსნათ და რჩევები დავარიგოთო. რა თქმა უნდა, ეს მომენტი სასიამოვნოა, მაგრამ ამავე დროს სასაცილო.

***– რას ეუბნებით ხოლმე ასეთ დროს ადამიანებს?***

– რა თქმა უნდა, ვეუბნებით, რომ არ დაადგათ საფლავზე მანქანა ჯაჭვით დაბმული, მას რომ უყვარდა. ეს არის საკვირველი და სამარცხვინო. პირდაპირ ხედავ, როგორ შორს წახვედი შენი წინაპრებიდან. სად მათი გემოვნება და სად ახლანდელების. ადამიანს ადევს ერთი ქვა,ა უბრალო გვირილაა ამოკვეთილი და მხოლოდ ეს აწერია – „განველ უმანკო". არც ის აწერია ვინ არის, რამხელა იყო, ვინ წევს სამაგიეროდ, იცი რომ უსუფთავესი ადამიანი წერს. საოცარი ეპიტაფიებია – „ნუ მელოდებით, ვერ მოვალ შინა" ან კიდევ „ სიკვდილს არა ვფიქრობდი". საერთოდ, ვინ ფიქრობს სიკვიდლზე? ასეთი მარტივი დამოკიდებულებები წუთისოფელთან, უსაზღვრო, უკიდეგანო, ღრმა და ფილოსოფიური წარწერებია. უცებ ხედავ საშინელ ლექსს, შეთითხნილს, რომ ბანკეტები უყვარდა, აქ იყო და იქ იყო, იქეიფა. თუ მოქეიფე და კარგი თამადა იყო, ჭიქა და დოქი ამოკვეთე და მორჩა.

***– განსაკუთრებული საფლავები გინახავთ?***

– ჩვენს წინაპრებს პროფესიული საფლავები აქვთ, მაშინვე მიხვდები ვინ იყო – მეგუთნე, ფარდაგისმქსოველი, მონადირე, ხელოვანი, ხელოსანი. ზოგან გადაშლილი გარმონია დატოვილი, ზოგან ფანდური. ვნახეთ ორი დის საფლავი, რომლებიც მომღეროლები იყვნენ და იმისათვის, რომ მტერს სოფელი არ აეწიოკებინა, სიმღერით გაართეს მტერი და სანამ ისინი მღეროდნენ, სოფელმა დაცლა მოასწრო. მტერი მიუხვდა დებს ჩანაფიქრს და ისინი ამოხოცა. ეს საფლავი სამეგრეთში, თეთრი წყაროს რაიონშია და მასზე ორი ფანდურია ამოკვეთილი. თუ არ გაიკითხავ ამ ისტორიას, ვერც მიხვდები რა დატვირთვა აქვს ამ მუსიკალურ ინსტრუმენტებს, უბრალოდ მიხვდები, რომ მომღერლები იყვნენ. ასე რომ, ყველაფერს თავისი კულტურა აქვს.

***– რადგან მიცვალებულების თემას შევეხეთ, აუცილებლად უნდა გკითხოთ ბატონ ვახუშტი კოტეტიშვილზე და თენგიზ მირზაშვილზე.***

– ისინი საოცარი ადამიანები იყვნენ. არც კი ვიცი რა ვთქვა ჩუბჩიკაზე და რა ვთქვა ვახუშტიზე. ჩვენ უფრო მეტად ვცდილობთ, რომ ეს საღამოები ცოცხლობდნენ. თითოეული ადამიანის შერჩევის დროს მეგონა, რომ ისინი ისმენდნენ. ამირანიც სულ მეუბნებოდა, მოეწონებოდათ იმათო. მაგარ ლექსს რომ ვნახავ, ძალიან მომინდება, რომ ორივეს წავუკითხო. ცარიელია ეს სამყარო ჩემთვის. ისინი მოგონილი ვერ იქნებიან, იმიტომ რომ ავსებდნენ ამ ქვეყანას და მათთვის რა თქმა უნდა, ჩვენზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რასაც ახლა ვაკეთებთ. ისინი აღარ არიან და ჩვენ გვაქვს ვალი მოსახდელი, ამიტომ ეს საღამოები უნდა ცოცხლობდნენ.

# პიტერ გაბრიელს ალბომებისთვის სახელების დარქმევა უჭირს



პიტერ ბრაიან გაბრიელი – ინგლისელი მუსიკოსი. ყველაზე მეტად ცნობილია, როგორც ჯგუფ ჯენესისის ყოფილი ვოკალისტი და ფლეიტისტი. ჯგუფის დატოვების შემდეგ იგი წარმატებულ სოლო-კარიერას მიჰყვება, მუშაობს ეთნიკური მუსიკის შემსრულებლებთან და ითვისებს ციფრული მუსიკის მიწოდების თანამედროვე სტანდარტებს. იგი აგრეთვე მონაწილეობს საქველმოქმედო აქციებშიც.

პიტერი ინგლისში, სურეის საგრაფოში 1950 წლის 13 თებერვალს დაიბადა. მისი მამა ელექტროინჟინერი იყო, ხოლო მისი დედა – მუსიკალური ოჯახიდან და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ პიტერი მუსიკას ეზიარა. დედა პატარაობიდანვე ასწავლიდა პიტერს კლარნეტზე დაკვრას. თავდაპირველად პიტერი კერძო სკოლაში დადიოდა, რომელიც სურეის საგრაფოში მდებარეობდა, 1963 წლიდან კი, ჩარტერჰაუსის სკოლაში გადავიდა.

## ჯენესისში

1967 წელს, სკოლაში სწავლისას, გებრიელმა დააარსა ჯგუფი ჯენესისი. მასთან ერთად კოლექტივში შედიოდნენ ტონი ბენკსი, ენტონი ფილიპსი, მაიკ რეზერფორდი და კრის სტიუარტი. ჯგუფის სახელწოდება მათი პროდიუსერის, ჯონათან კინგის იდეა იყო.

სოულის სტილის მუსიკის მოყვარულმა გებრიელმა ჯგუფის პირველ ალბომში აქცენტი გააკეთა ამ ტიპის სიმღერებზე. შემდგომში ჯგუფმა შეიცვალა მუსიკალური მიმართულება, რომელშიც იგი მუშაობდა და პროგრესულ როკს უკრავდა. ამის შემდეგ ჯენესისს სახელი გაუვარდა მთელ ინგლისში, იტალიაში, ბელგიასა და გერმანიაში.

პიტერის სასცენო გამოსვლები გამოირჩეოდა საინტერესო კოსტიუმებითა და თეატრალიზებული შოუთი. ჯგუფიდან წასვლის (1975 წელი) შემდეგ, დღემდე, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს სასცენო გამოსვლის ამ ელემენტს.

ჯგუფის დატოვების შემდეგ გებრიელმა საკუთარი სოლო-კარიერა დაიწყო, თუმცა თავდაპირველად ასეთი გეგმა არ ჰქონდა, რადგან ძალიან დაღლილი იყო მუსიკალურ ბიზნესში მოღვაწეობით.

## სოლო კარიერა

პირველი სოლო ალბომების სახელწოდებებზე გებრიელმა პრინციპულად თქვა უარი. ამრიგად, პირველი ოთხი დისკი გამოვიდა მისივე სახელით – პიტერ გაბრიელი, მაგრამ პირობითად მათ ეწოდებოდა I, II, III და IV. მხოლოდ მეოთხე ალბომს, შტატებში უწოდეს „სექურითი“.

სახელების დარქმევისას პიტერ გაბრიელი არ შემდგომში იკლავდა თავს და ალბომების სახელწოდებებში შეიჩნევა ორ ასოიანი სიტყვები – სო, ას, და აპ. გაბრიელის სიმღერების უკანასკნელ კრებულს ეწოდება ჰით, ხოლო მის ცალკეულ დისკებს – ჰით და მისს.

პირველი ალბომი ჩაწერილ იქნა 1976-1977 წლებში, პროდიუსერ ბობ ეზრინის დახმარებით. პირველი სოლო წარმატება გებრიელს ეწვია სინგლის „სოსბერნ ჰილ“ მეშვეობით, რომელშიც მუსიკოსი ირონიულად მღერის.

– ჩემს მეგობრებს ეგონათ, რომ სულელი ვიყავი, – იხსენებდა მოგვიანებით გაბრიელი. ამ სიმღერაში იგი მიგვითითებს საკუთარ გადაწყვეტილებაზე, დაეტოვებინა ჯენესისი, მიწათმოქმედებით დაკავებულიყო, მუსიკალურ ექსპერიმენტებთან ერთად.



სადებიუტო დისკით პიტერი, ასე თუ ისე, კმაყოფილი იყო, მისი სიმღერის უფრო მოგვიანებით გამოცემული ვერსიები სრულდება მხოლოდ ფორტეპიანოს და ვოკალის თანხლებით.

მეორე სოლო ალბომზე, გაბრიელმა ითანამშრომლა გიტარისტ რობერტ ფრიპთან, დისკი უფრო ბნელი და ექსპერიმენტული გამოვიდა, მაგრამ ჰიტსინგლებს არ შეიცავდა.

სხვადასხვა ეთნიკური მუსიკით დაინტერესება პიტერმა შემდეგ ალბომებზე მუშაობისას გამოხატა. მესამე დისკზე რამდენიმე სიმღერაში ფილ კოლინზმაც დაუკრა.

1981-1982 წლებში პიტერი მუშაობდა მეოთხე სტუდიურ დისკზე. აქ აქტიურად გამოიყენებოდა სინთეზატორი, რომელსაც გასული საუკუნის 80-იან წლებში სხვა მუსიკოსებიც იყენებდნენ. ამით გებრიელის სიმღერების ჟღერადობა უფრო გაფართოვდა.

ყოველ ალბომს თან ახლდა მასშტაბური საკონცერტო ტური. საკონცერტო გამოსვლების დროს კვლავ ადგილი ჰქონდა თეატრალიზებულ სანახაობებს, რამაც სახელი გაუთქვა მუსიკოსს ჯერ კიდევ ჯენესისში ყოფნის დროს. მეორე სოლო ტურის მსვლელობისას ბენდის ყველა წევრმა სპეციალურად გადაიპარსა თავები. მეოთხე ალბომთან დაკავშირებული ტურის დროს კი უკვე ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სასცენო გაფორმებას, მოულოდნელ მაკიაჟსა თუ სამოსს.

1982-1983 წლების ტურების დროს ჩაწერილ იქნა საკონცერტო ალბომი „პლეის ლაივი“. შემდეგი სტუდიური ნამუშევარი მხოლოდ 1986 წელს გამოვიდა. თუმცა ამ შუალედში გებრიელმა დაწერა მუსიკა ალან პარკერის ფილმისათვის „ჩიტუნა“. ასევე გამოიცა ამავე სახელწოდების ალბომი.

1980 წლის დისკმა „პიტერ გაბრიელი 3“, კრიტიკოსთა მაღალი შეფასება მიიღო. მასში შეტანილია ცნობილი სიმღერები.

უდიდესი წარმატება გაბრიელმა მოიპოვა 1986 წლის ალბომით „სოუ“, რომელიც აშშ ჩარტში შევიდა სინგლის „სლიდგეჰამერის“ დახმარებით. ასევე დიდი წარმატება ჰქონდა სინგლებს „ბიგ თაიმ“ და „რედ რაინ“ პიტერმა იმავე წელს დუეტი ჩაწერა და კეიტ ბუშთან.

სინგლის „სლიდგეჰამერი“ ვიდეოკლიპმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მუსიკალურ ვიდეოპროდუქციაზე. 1987 წლის მტვ-ს დაჯილდოვებაზე მას არაერთი ჯილდო ერგო. იმავე სტილში (პლასტილინის ანიმაციის ელემენტებით) გადაღებული იყო სიმღერის „ბიგ თაიმ“-ის ვიდეორგოლიც.

საქველმოქმედო და ადამიანთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გებრიელმა მიიზიდა სხვა მუსიკოსებიც, რომლებმაც მასთან თანამშრომლობა გადაწყვიტეს.

1989 წელს პიტერმა გამოსცა ალბომი, სადაც შეტანილია მუსიკა მარტინ სკორსეზეს ფილმიდან „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“. ეს იყო მისი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ნამუშევარი და განამტკიცა მუსიკოსის, როგორც მსოფლიოს ყველა ხალხთან ეთნიკური მუსიკის მოყვარულის სახელი.

შემდეგი ალბომი 1992 წელს გამოვიდა, რომელშიც აისახა მისი იმჟამინდელი ცხოვრება – განშორება მეუღლესთან, მისი ურთიერთობა როზანა არკეტთან და საყვარელ ქალიშვილთან განშორების პრობლემა.

როგორც წინა სტუდიურ დისკთან მიმართებაში, გებრიელმა ამ ალბომის შემთხვევაშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ვიდეოპროდუქციას. სინგლების ვიდეოკლიპებმა მსმენელებისა და კრიტიკოსების მოწონება დაიმსახურეს. 1994 წელს გამოვიდა ვიდეოფილმი „სეკრეტ ვორდ ლაივ“, რომელიც ასახავდა თეატრალიზებული საკონცერტო ტურის ერთ-ერთ კონცერტს.

ალბომის გამოცემას თან ახლდა ნოვატორული მიდგომა მარკეტინგის საკითხებში. პიტერს არ სურდა, რომ ალბომზე გამოეტანათ მხოლოდ მისი ფოტოსურათები. ამიტომ ალბომის თითოეული სიმღერისათვის შეიქმნა სპეციალური გრაფიკული გაფორმება. ამასთან, გამოვიდა სპეციალური ინტერაქტიული დისკი, რომელიც იყო მუსიკოსის მიერ მულტიმედიური საშუალებებით დაინტერესების კიდევ ერთი ნიშანი. დისკს თან ახლდა სარეკლამო ვიდეო, რომელშიც ასახული იყო ალბომის შექმნის პროცესიც.

გაბრიელმა 1992-1993 წლებში მიიღო გრემის ჯილდოები ვიდეოკლიპებისათვის, ხოლო 1995 წელს – მუსიკალური ფილმისათვის „სეკრეტ ვორდ ლაივ“.

## ბოლო ალბომები

ხუთწლიანი პაუზის შემდეგ გაბრიელმა იმუშავა პროექტზე „ოვო“ – ეს იყო მუსიკა ათასწლეულის გუმბათის შოუსათვის (2000). მოგვიანებით, 2002 წელს გამოვიდა ფილმის „ბაჭიების ღობე“ საუნდტრეკი. ამ ალბომმა დაიმსახურა წლის „ოქროს გლობუსი“ – ფილმისათვის შექმნილი საუკეთესო ორიგინალური მუსიკის კატეგორიაში.

2002 წლის სექტემბერში გამოვიდა გაბრიელის შემდეგი სოლო ალბომი. ეს ალბომი, რომელიც მთლიანად გაბრიელის პროდიუსერობით არის ჩაწერილი, უბრუნდება 70-იანებსა და 80-იანებში მის მუსიკაში წარმოჩენილ თემებს. სინგლების ჩარტებში დიდი წარმატება ჰქონდა სამ სიმღერას. იმის გათვალისწინებით, რომ თითქმის ყველა სიმღერა ამ ალბომიდან ექვს წუთზე უფრო მეტი ხანგრძლივობის იყო. მსოფლიო მასშტაბით ალბომმა უდიდესი წარმატება იქონია. გამოცემას მოჰყვა მსოფლიო ტური და ორი საკონცერტო გამოსვლა. ასევე მუსიკოსის შვილის, ანა გაბრიელის დოკუმენტური ფილმი.

საკონცერტო ტური იმდენად წარმატებული იყო, რომ 2007 წელს გაბრიელი დაუბრუნდა სცენას, განსხვავებული საკონცერტო პროგრამით, რომელზეც უდიდესი ყურადღება დაეთმო მისი პირველი ალბომების მასალას – ეს მოხდა ოფიციალურ ვებ-გვერდზე ჩატარებული გამოკითხვების საფუძველზე.

2009 წელს მუსიკოსმა დაიწყო ახალი ტური, რომელმაც მოიცვა რამდენიმე ადგილი, სადაც გებრიელი იშვითად მოგზაურობდა – ვენესუელა, არგენტინა, მეხიკო, ჩილე და პერუ.

პარალელურად მზადდება ალბომი, რომელზეც გებრიელი შეასრულებს სხვა მუსიკოსების ცნობილ სიმღერებს, ხოლო ეს მუსიკოსები – მის რომელიმე ჰიტ-სინგლს.

## მუსიკოსები და თანამშრომლობა

სოლო კარიერის დაწყებიდან დღემდე გებრიელმა ითანამშრომლა არაერთ ცნობილ მუსიკოსთან. მისი ალბომების ჩაწერასა და საკონცერტო ბენდში მუდმივად მონაწილეობს ბასგიტარისტი ტონი ლევინი. 1979 წლიდან გებრიელთან თანამშრომლობს გიტარისტი დევიდ როუდსი. ალბომამდე „სოუ“ გებრიელის ალბომისა და საკონცერტო ბენდში დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავდა ჯერი მაროტა. შემდეგ ალბომებში და მათთან დაკავშირებულ ტურებზე დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკვე მანუ კაჩე გამოჩნდა. ალბომის „აპ“ ჩაწერისა და შემდგომ ტურზე იგი შეცვალა ჯედ ლინჩმა. გარდა ამისა, სხვადასხვა პერიოდში გებრიელთან თანამშრომლობდნენ – ბობ ეზრინი, რობერტ ფრიპი, სტივ ლილიუაიტი, დენიელ ლანუა, შანკარი, ტრენტ რეზნორი, იუსუ ნდური, ლარი ფასტი, ნუსრატ ფატე ალი ხანი, შინეიდ ოკონორი, კეიტ ბუში, პოლა კოული, ჯონ გიბლინი, პაპა უემბა, მანუ კაჩე, ბაიეტი და სტიუარტ კოუპლენდი.

## პირადი ცხოვრება

პირველი მეუღლისგან, ჯილ მურისგან პიტერ გებრიელს ჰყავს ორი ქალიშვილი – ანა-მარი და მელანი. ჯილის მამა იყო ვოლვერკოტის ლორდი, ფილიპ მური. პიტერი და ჯილი დაქორწინდნენ 1971 წელს და დაშორდნენ 1987 წელს.

ანა-მარი რეჟისორია, ხოლო მელანი – მუსიკოსი. როგორც უკვე გითხარით, ანა-მარის ეკუთვნის დოკუმენტური ფილმი მამაზე. მელანი კი, 2003 წლიდან ვოკალისტის სახით მონაწილეობს პიტერის ყველა საკონცერტო ტურში.

1980-იან და 1990-იან წლებში გებრიელი ცხოვრობდა მსახიობ როზანა არკეტთან, მაგრამ ოფიციალურად ისინი არასოდეს დაქორწინებულან. პიტერი მეორედ 2002 წლის 9 ივნისს მებ ფლინისზე დაქორწინდა. მეორე მეუღლისგან პიტერს ორი ბიჭი ჰყავს – აიზეკ რალფი და ლუკი.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)


## ტესტის პასუხები

**0-40 ქულა:** დარწმუნებული ხართ, რომ მეგობრობა შეგიძლიათ, ოღონდ ამაში სხვებიც უნდა დაარწმუნოთ. გულის სიღმეში იცით, რომ ნმდვილი მეგობრები ცოტა გყავთ. თქვენ ის ადამიანი ხართ, ვინც იღებს და არ გასცემს.

**40-80 ქულა:** არც თუ ისე ცუდი მეგობრები გყავთ. მაგრამ ხშირად მათთან ურთიერთობაში ეგოიზმს ამჟღავნებთ. მათ ადგილას თქვენი თავი წარმოიდგინეთ. თუ მეგობრობა გინდათ, თავგანწირვა უნდა შეგეძლოთ.

**80-120 ქულა:** თქვენი საუკეთესო მეგობარი ხართ, ყურადღებიანი, დიდსსულოვანი, ერთგული, შეგიძლიათ თანაგრძნობა გაუწიოთ ადამიანსმ აგრამ მონური ერგულებით არ გამოირჩევით. ყოველთვის გაქვთ დრო მეგობრისთვის, ცდილობთ გაუგოთ მათ, მოგწონთ ურთიერთდახმარების იდეა. თქვენი მეგობრობა ორმხრივი მოძრაობის ქუჩას ჰგავს.

**120-160 ქულა:** ძალიან გინათ საუკეთესო მეგობარი იყოთ, მაგრამ ასეთი არ ხართ. კარგი, ნამდვილი მეგობარი ხქართ, მაგრამ თქვენს მეგობრობას ორმხრივი მხარდაჭერა აკლია. ხანდახან სხვების თხოვნის დაკმაყოფილებისას საზღვარს გადადიხართ, რადგან გინდათ სხვებს მოაწონოთ თავი.

# TV პროგრამა

## ორშაბათი 24 ოქტომბერი

07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.50 10 პლუს 10 15.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00 ჩვენი ფერმა 17.30 ჩვენი სამართალი 18.00 ან. ფ."ადამიანი-ობობა" 19.05 სერ. "მისამართი უცნობია" 21.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 00.00 ღამის საუბრები 01.00 მოამბე 01.20 მხ. ფ. "მშვიდობისმოყვარე" (12) (ჯ. კლუნი) 03.25 სერ. "ზიანი" (12) 04.25 მხ. ფილმი "იცხოვრე მტერთან" (18)

08.00 დოკ. ფილმი 09.00 საბ. ფილმი "ჰერაკლე" 10.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.30, 17.45, 23.30 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერ. "ზიანი" (12) 20.00 მხ. ფილმი "წმინდანთა ცხოვრება" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 02.00 მხ. ფ. "ფორესტ გამპი"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "როსალინდა" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 იღბლიანი ბორბალი (გან.) 17.00 სერ. "ავრორა" 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ."სახლი მეზობლად" 22.00 ჯეოსტარი 00.00 შუა დღე 01.00 პატრული 01.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.40 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. "ყავა და ლუდი" 16.00 სერ. "შურისძიების საფასური" 1-ლი ს. 17.40 სერ. "ევა ლუნა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ."დამალული სიმართლე" 22.00 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 23.10 მუს. ლიგა (გან.) 00.20 ბიზნეს ლიდერი (გან.) 01.20 მხ. ფ. "ცეცხლოვანი ველი" (15) (შ. ტერონი) 03.30 მხ. ფილმი "საქორწინო წვეულება" (მ. დუგლასი) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "დაკარგული ქვეყანა 3" 13.00 მხ. ფილმი 15.30 პულსი 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ."მისი სულის მუსიკა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "სოპრანოს კლანი" 12.50, 19.35 სერ. "ადვოკატი" 15.15 სერ. "ექიმი ქმორი" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.10 მხ. ფილმი "შერეკილები" 13.25 კონცერტი – ე. ვირსალაძე და ნ. გუტმანი. 1-ლი ნ. 14.10 მოკლ. ფილმი "მხოლოდ ერთხელ" 15.25 სპექტაკლი "ძველი ვალსი" 17.05 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.25მოკლ. ფილმი "სამი ამბავი ტელეფონით" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი "მაცი ხვიტია" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 სალვთისმეტყველო საუბრები 22.20 დოკ. ფილმი "გურამ დოჩანაშვილი" 22.35 ერთსულოვანი ოჯახი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "ხიდი" 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 პერსპექტივა

## სამშაბათი 25 ოქტომბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 საფეხბურთო მიმოხილვა 13.50 აუდიტორია 15.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00 მედ-ინფო 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 ან. ფ."ადამიანი ობობა" 19.05 სერ. "მისამართი უცნობია" 21.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.40 მხ. ფ. "ინტელექტის კოეფიციენტი" (მ. რაიანი) 01.40 კავკასუს ლაივი 02.40 მხ. ფ. "მშვიდობისმოყვარე" (12) (ჯ. კლუნი) 04.45 სერ. "ზიანი" (12)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00, 01.00 სერ. "ზიანი" 20.00 მხ. ფილმი "წმინდანთა ცხოვრება" 01.00 მხ. ფილმი "ზარი 2"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "როსალინდა" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 ვანოს შოუ 17.00 სერ. "ავრორა" 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ."სახლი მეზობლად" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თქვენი შოუ 23.00 მელომანია 00.00 შუა დღე 01.30 პატრული 02.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.25 ქრონიკა 11.40 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. "ყავა და ლუდი" 16.00 სერ. "შურისძიების საფასური" მე-2ს. 17.40 სერ. "ევა ლუნა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 ბიზნეს ლიდერი 00.30 ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) 01.50 მხ. ფილმი "კეთილი ჯონი" (ჩ. ტატუმი) 04.00 მხ. ფილმი "პირდაპირი მოქმედება" (12) (დ. ლუნდგრენი) 06.30 სერ. "მარინა"

